საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 1 ოქტომბერი, 2014 წელი.

№200 (7581)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

მედია – ხელისუფლების, კლანის თუ სახელმწიფოს სამსახურში?



4

დემოკრატია და მასმედია განუყოფელია. თავისუფალი სიტყვა დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარია, მაგრამ არის ბილწი „თავისუფალი სიტყვა“, ყველაფრის მკადრებელი, შხამიანი, მომწავლელი, სიტყვით მკვლელობა ყველაფერზე უარესია და მას ისევ სიტყვით, სიმართლით და კრიტიკით უნდა დაუპირისპირდე, უნდა გამოაშკარაო, ნიღაბი ახადო. სამწუხაროდ, ასეთი ბილწსიტყვაობის დიდოსტატები მრავალი წყაროდან ფინანსდებიან. იშვიათად ნახავთ მათ შორის სერიოზულ გაზეთებს.

ინგა გრიგოლია და... შავი სატელევიზიო პარასკევი

5

რატომ, რისთვის, რად წირავთ ქვეყანას, კოლეგებო?

ლატაკი ქვეყნის მდიდარი ბანკები

7

„მკვლელი თუ მკვლელები ერესის მანქანაში დახვდნენ და უკნიდან აკავებდნენ“

2

გაუარესებული კლიმატი და უვარგისი ინფრასტრუქტურა – ნაბიჯი კატასტროფამდე

6

ერთ ხმაზე ამღერებული ნაციონალური მოძრაობა და არასამთავრობო სექტორი

3



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

მთავრობამ 2015 წლის ბიუჯეტის პირველი ვარიანტი მოიწონა

როგორც ხადურმა აღნიშნა, 2015 წელსაც, ისევე როგორც 2013-2014 წლებში, ბიუჯეტი მთილიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ შესრულებას.

ხადურის განცხადებით, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში და მომავალი წლის პროგნოზები.

საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენელი 7 მილიარდ 930 მილიონი ლარით განისაზღვრა; სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები — 9 მილიარდ 350 მილიონი ლარის ოდენობით. მათ შორის საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 8 მილიარდ 575 მილიონ ლარს, გრანტები 95 მილიონ ლარს, ხოლო კრედიტები 680 მილიონ ლარს.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები

უწყებების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული: შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 92 მილიონი ლარით და შეადგენს 2 მილიარდ 750 მილიონ ლარს; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილია 955 მილიონი ლარი (გაზრდილია 80 მილიონი ლარით); განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 828,9 მილიონი ლარი (გაზრდილია 74,6 მილიონი ლარით); სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილია 291 მილიონი ლარი, რაც მიმდინარე წლის გეგმაზე 27,5 მილიონი ლარით მეტია. ენერგეტიკის სამინისტროსთვის გამოყოფილია 135 მილიონი ლარი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის გამოყოფილია 120 მილიონი ლარი, მათ შორის პროგრამისთვის „აწარმოე საქართველოში“ — 20 მილიონი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებული პროექტებების ფონდისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის ჯამში გათვალისწინებულია 300 მილიონი ლარი. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა გაზრდილია 54,1 მილიონი ლარით და შეადგენს 850 მილიონ ლარს.

არის საკითხები, რომლებზეც რუსეთი და საქართველო ვერ შეთანხმდებიან

საქართველო **დაიბრუნებს თავის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს და ამას ალტერნატივა არ გააჩნია. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თურქეთის საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.**

მისივე თქმით, ეს პრობლემა სწრაფად არ მოგვარდება, მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა მხოლოდ მშვიდობიანი გზით არის შესაძლებელი.

„მშვიდობას და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ალტერნატივა არ აქვს. ვიცი, რომ ეს ძალიან რთულია და ყველა, ვინც ფიქრობს, რომ ეს საკითხი სწრაფად მოგვარდება, უბრალოდ არ ესმის პრობლემა. არ არსებობს ამ პრობლემის სწრაფი მოგვარების გზა, მაგრამ ეს პრობლემა მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარდება აფხაზეთშიც და ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც. ამ მხრივ, დიდი მხარდაჭერა გვაქვს, მათ შორის თურქეთის ხელისუფლების. საქართველოს ხელისუფლებას სურს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას მისცეს ევროპაში ინტეგრირების ყველანაირი შესაძლებლობა, იქნება ეს ბიზნესის განვითარება თუ ვიზის ლიბერალიზაცია. ასე რომ, ვფიქრობ, უდიდეს გზავნილს ვუგზავნით სოხუმში, ცხინვალში მცხოვრებლებს, რომ ჩვენი მომავალი მხოლოდ გაერთიანებული საქართველოა ერთობლივი ძალისხმევით აშენებული“, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და აღნიშნა, რომ არის საკითხები, რომლებზეც რუსეთი და საქართველო ვერ შეთანხმდებიან. მისივე თქმით, საქართველო არასოდეს დათანხმდება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას.

„ჩვენ გამოვაცხადეთ პოლიტიკურად რთული, მაგრამ სწორი პოზიცია და ვთქვით, რომ ვიცით, გვაქვს საკითხები, რაზეც ვერასდროს შევთანხმდებით. საქართველო არასოდეს დათანხმდება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას. ვიცით, რომ ეს რუსეთისთვისაც რთული საკითხია. მაგრამ, ამავდროულად ვიცით, რომ არსებობს მიმართულებები, სადაც შეგვიძლია ვითანამშრომლოთ. პირველ რიგში, ეს ვაჭრობის სფეროა“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

◎ ექსპერტიზა

ზურაბ კიწმარიშვილი **მისი ძმის საქმეში დაზარალებულად ცნობას ითხოვს. ამ მოთხოვნით ეროსი კიწმარიშვილის ძმამ პროკურატურას მიმართა. ზურაბ კიწმარიშვილის განცხადებით, დაზარალებულად ცნობის შემთხვევაში, საშუალება მიეცემა, სრულად გაეცნოს საქმის დეტალებსა და გამოძიების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას. კიწმარიშვილის მოთხოვნაზე კომენტარს არ აკეთებენ საქართველოს მთავარ პროკურატურაში. დაცვის მხარე კი საქმეში არსებულ ახალ გარემოებებზე მიუთითებს. ექსპერტი ამბობს, რომ კიწმარიშვილი გასროლის მომენტში სავარძელზე იყო მიყრდნობილი.**

„აქამდე ოჯახი გამოძიებისგან მხოლოდ მწირ ინფორმაციას იღებდა. ჩვენ შეთანხმება გვქონდა, რომ ნებისმიერ საკითხზე შეგვეძლო, შევხვედროდით ერთმანეთს, ჩვენი აზრი მიგვეწოდებინა და ეს ასეც იყო. მაგრამ, ჩვენ გვქონდა მწირი ინფორმაცია, რის გამოც მეტი აქტივობის საშუალება არ იყო. აქამდე დაზარალებულად არავინ უცვნიათ. მოთხოვნაა იყო, რომ მოხდეს ჩემი დაზარალებულად ცნობა და ამის შემდეგ, უკვე, ყველა იმ მასალაზე, რაც გამოძიების მიერ საიდუმლოდ არ იქნება გამოცხადებული, წვდომა მექნება“, — აღნიშნა ზურაბ კიწმარიშვილმა.

მისივე განცხადებით, დაზარალებულად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამორიცხული არაა ოჯახმა განმეორებითი, ან ახალი ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვოს.

„გამოძიება, როგორც ვიცი, ახალი ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობას ვერ ხედავს. ყველა ექსპერტიზაზე, რომელსაც გეგმიური სახე ჰქონდა, წინასწარ ვიყავი ინფორმირებული და ყველაფერს ვესწრებოდი, მაგრამ ახალა ექსპერტიზა არ იგეგმება. თუმცა, როცა საქმეს გავიცნობთ, შესაძლოა, დავსვათ საკითხი რომელიმე ექსპერტიზის განმეორების, ან სხვა ახალი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. ამისთვის კი საჭიროა ვიცოდეთ სადამდეა გამოძიება მისული და რა ჩანს, რა იკვეთება“, — აღნიშნა ზურაბ კიწმარიშვილმა.

რუსთავის მერობის ყოფილი კანდიდატი ეროსი კიწმარიშვილი მისსავე ავტოფარეხში გარდაცვლილი იპოვეს. კიწმარიშვილის საქმესთან დაკავშირებით გამოძიება სსკ 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. რამდენიმე დღის წინათ კი ეროსი კიწმარიშვილის ავტომანქანაში ბალისტიკური ექსპერტიზა ჩატარდა, რომელიც ქალაქის მთავარ სამმართველოში სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა.

ექსპერტიზის შედეგად აღადგინეს ის სურათი, თუ რა მდგომარეობაში იყო ეროსი კიწმარიშვილი გარდაცვალებამდე. ზურა კიწმარიშვილი ვარაუდობს, რომ მისი ძმა გარდაცვალებამდე მარტო არ ყოფილა. მისივე განცხადებით, გაირკვა, რომ ეროსი კიწმარიშვილი ზურგით ძალიან მჭიდროდ, თითქმის მიკრული იყო სავარძელზე, რაც უჩენს ეჭვს, რომ მანქანაში კიდევ ვილაც იჯდა. მისივე თქმით უმყარდება ვერსია, რომ მკვლელი უკან იჯდა.

„უკვე ამაზე ვისაუბრე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: როგორც ჩანს და მიმყარდება ეს ეჭვი, მკვლელი თუ მკვლელები ეროსის მანქანაში დახვდა და უკნიდან აკავებდა გარდაცვლილს. თუმცა, ვნახოთ, რას დაწერს ექსპერტიზა. ამ დრომდე სწავლობენ ტელეფონის, პლანშეტის, კომპიუტერის ინფორმაციებსაც, იმედი მაქვს, ყველაფერს გავიცნობი. ძალიან მინდა ვნახო, ვინ მოძრაობდა სახლის გარე პერიმეტრზე“, — აცხადებს ზურაბ კიწმარიშვილი.

„მკვლელი თუ მკვლელები ეროსის მანქანაში დახვდნენ და უკნიდან აკავებდნენ“

დამოუკიდებელი ექსპერტი ზაზა ალთუნაშვილი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კიწმარიშვილის მანქანის ბალისტიკურ ექსპერტიზაში, აცხადებს, რომ მას საეჭვოდ მიაჩნია მანქანაში სამზეურების ჩამოწევა (ავტოფარეხში მდგარ მანქანას ორივე მხარეს ჩამოწეული ჰქონდა სამზეური). გარდა ამისა, კიწმარიშვილს თავი არაბუნებრივად, უკიდურესად უკან ჰქონდა გადაგდებული და რაც ასევე აჩენს ეჭვებს.

„მე დავესწარი ექსპერტიზას, და-

ვაფიქსირე ცეცხლსასროლი იარაღის განლაგება მსხვერპლთან მიმართებაში და ავტომანქანასთან არსებულ დაზიანებასთან. გასროლის მომენტში სავარძელზე და საზურგის დამცავზე ბოლომდე იყო მიყრდნობილი. თუმცა, ეს ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებს, რომ ეს არ იყო თვითმკვლელობა. დანიშნულია დაახლოებით 20 ექსპერტიზა, ამის გარდა სხვა საგამოძიებო მოქმედებებიც მიმდინარეობს“, — აცხადებს ზაზა ალთუნაშვილი.

კიდევ ერთი დამოუკიდებელი ექსპერტი, მაია ნიკოლეიშვილი აცხადებს, რომ მიუხედავად ჩატარებული ექსპერტიზებისა, ამ დრომდე არც ერთის პასუხი არ უნახავთ. მისივე თქმით, ამ საქმეში არსებობს უამრავი კითხვის ნიშანი.

„როგორც სამედიცინო ექსპერტს, მაქვს რამდენიმე სერიოზული კითხვა, თუმცა, არ ვასწრებ მოვლენებს. ვინაიდან შესაძლებელია, რომ ადვოკატები დაესწრონ ექსპერტიზების დასკვნებს, რომელიც ჩვენ მოვითხოვეთ, არ მინდა ამაზე ადრე საჯაროდ გამოვიტანო ჩემი კითხვები. ჯერ მინდა, გავეცნოთ ამ ექსპერტიზას, იქნებ გაეცეს პასუხი კითხვებს, თუ არ გაეცემა ამომწურავი და სრულყოფილი პასუხი, მაშინ უკვე საჯაროდ ვიტყვი იმ კითხვებს, რომელიც ბევრ ძალიან საეჭვო გარემოებაზე მიუთითებს“, — აცხადებს მაია ნიკოლეიშვილი.

თამთა ძარჩავა

რაში წაადგება ჟვანიას საქმეს ნაცმოწმეები?

პროკურატურა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით ბრალდებულების კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას საქმეზე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მოწმეთა ნუსხიდან ამოღებას ითხოვს.

დაცვის მხარის მოწმეთა ნუსხაში არიან გიორგი ბარამიძე, ხათუნა გოგორიშვილი, გოკა გაბაშვილი და მიხეილ მაჭავარიანი.

როგორც პროკურორმა რევაზ ნადოიმ პროცესზე განაცხადა, აღნიშნული მოწმეების ჩვენებები საქმეს ვერაფერს შემატებს, რადგან დაკითხული პირები გამოკითხვის ოქმებში მხოლოდ ზურაბ ჟვანიას დადებით დახასიათებაზე საუბრობენ.

პროკურორებმა ასევე მოითხოვეს დაცვის მხარის მოწმეთა ნუსხიდან ივანე მერაბიშვილისა და ვანო ჩხარტიშვილის ამოღებაც. თავად პროკურატურას კი, დასაკითხ მოწმეთა ნუსხაში ჰყავს: მურთაზ ზოდელავა, ნინო ქადაგიძე, გოგლა ჟვანია, თემურ ჯანაშია, ლევან ჩაჩუა, ასევე სხვა პირები. მათ შორის, გამომძიებლები და ექსპერტები.

დაცვის მხარემ კი პროცესზე დააყენა შუამდგომლობა ჰაკიმფაშას სახელით გავრცელებული ვიდეოს დაუშვებლობის თაობაზე.

◎ ალიანჩალიანი

დაიწყო გაზსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ მაგისტრალური გაზსადენის „წითელი ხიდი-მარნეულის“ 500მმ დიამეტრის 25კმ სიგრძის მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო და უკვე 20 %-ია შესრულებული.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „კომფორტმშენ XXI“ აწარმოებს. ამ დროისათვის გაზსადენის დერეფანში უკვე განლაგდა 12635.67 მეტრი მილი, 14500 მეტრზე მოიხსნა მიწის ფენა, 470 მეტრზე ტრანშეა გაითხრა და 7409 მეტრზე მილები შედუღდა და ჩატარდა რადიოგრაფია. სამშენებლო სამუშაოები სავარაუდოდ 7 თვის ვადაში დაასრულდება.

პროექტის განსახორციელებლად „კომფორტმშენ XXI“-ს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ დაახლოებით 4,5 მლნ. ლარის ღირებულების მილები და სხვა სამშენებლო მასალები გადასცა.

„წითელი ხიდი-წალკა-ახალქალაქის გაზსადენი“ 1978 წელს აშენდა და გაზით სამხრეთ საქართველოს ამარაგებს.

„სითი პარკს“ ხელშეკრულება ვერ გაუუქმდება

საქართველოს მთავრობამ დედაქალაქის მერიას შპს „სითი პარკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შემოწმებაში მხარი დაუჭირა. ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილემ ალექსანდრე მარგიშვილმა განაცხადა. როგორც მარგიშვილმა აღნიშნა, ამ კუთხით საქართველოს მთავრობა ერთსულოვანი იყო.

„დაგვიჭირეს მხარი იმ საკითხში, რომ მოხდეს კომპლექსური ანალიზი თბილისის მერიის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ შპს „სითი პარკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების, როგორც სამართლებრივი, ასევე ფინანსური ასპექტებით“, — განაცხადა ალექსანდრე მარგიშვილმა.

როგორც მან აღნიშნა, ეს ყველაფერი თბილისის მერის დავით ნარმანიას ინიციატივაა.

„მივიღეთ მხარდაჭერა საქართველოს მთავრობიდან. ვფიქრობ, საკმაოდ შეზღუდულ ვადებში მივიღებთ კომპეტენტურ დასკვნას, რომელზეც კონტრაქტორი ვერ იტყვის, რომ ეს არის ცალსახად მხლოდ მერიის დღევანდელი ხელმძღვანელობის პოზიცია, არამედ ეს იქნება ობიექტური გარედან დანახული და აღწერილი რეალობა. მათ შორის ველოდებით პასუხებს ისეთ კითხვებზე, როგორიც არის, რამდენად კანონიერად და თბილისელების ინტერესების დაცვით გაფორმდა თავის დროზე ხელშეკრულება „სითი პარკთან“, რამდენად სამართლიანი იყო, რომ თბილისელებისთვის კაციშვილს არ უკითხავს, ისე გააორმაგეს პარკინგის საფასური 25 ლარიდან 50 ლარამდე“, — განაცხადა მან.

კითხვაზე, შემოწმების შედეგად „სითი პარკს“ ხელშეკრულება ხომ არ გაუუქმდება, მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულება ვერ გაუქმდება, ანალიზი და აუდიტი კი აჩვენებს, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება იმ პირობების შენარჩუნება, რომელიც დღეს არის.

◎ საეჭვო ერთიანობა



ერთ ხმაზე ამღერებული ნაციონალური მოძრაობა და არასამთავრობო სექტორი

მინისტრებისა და მათი მოადგილეების **საბანკო კრედიტების შესახებ ინფორმაცია არასამთავობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გასაჯაროვა. კვლევის მიხედვით დასტურდება, ხანდახან სესხების ასანაზღაურებლად საჭირო თანხა თანამდებობის პირთა კანონით დადგენილი ხელფასის ნახევარზე მეტს შეადგენს, ხალხთან კი აღემატება კიდეც.**

როგორც ცნობილია, მინისტრების ხელზე ასაღები ყოველთვიური შემოსავალი, დანამატის ჩათვლით, 5 000 ლარია. მინისტრის პირველი მოადგილე ხელფასის სახით ხელზე 2, 950 იღებს, მინისტრის მოადგილე კი – 2, 720 ლარს. კვლევის თანახმად, ზოგიერთ შემთხვევაში, დეკლარაციებში არ არის მითითებული, ყოველთვიურად რა თანხის გადახდა უწევს თანამდებობის პირს სესხის გასასტუმრებლად.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წარმომადგენელი ლევან ნატროშვილი თვლის, რომ მაღალჩინოსნების დიდი სესხები აჩენს რისკებს, რომ მათ ხელფასის გარდა სხვა შემოსავალი ეძებონ. როდესაც სახელმწიფო მოხელეს ხელფასის გარდა სხვა შემოსავალი არ აქვს და ხელფასის 60 პროცენტით სესხს ფარავს, გარკვეული კითხვები ჩნდება.

„როცა მინისტრი 190 000-იან სესხს იღებს და ხელფასის 80 პროცენტს ყოველთვიურად სესხის დაფარვაში იხდის, რა რჩება მას ყოველდღიური საჭიროებებისთვის? ამხელა საბანკო ვალდებულება რისკის შემცველია. სასურველია მინისტრებს ისეთი ფინანსური მდგომარეობა ჰქონდეთ, რომ კორუფციის რისკები შემცირებული იყოს“, – განაცხადა ლევან ნატროშვილმა.

მინისტრებისა და მათი მოადგილეების საბანკო კრედიტების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას დევნილთა მინისტრი სოზარ სუბარი ეხმაურება. მინისტრის განცხადებით, ეს არის ღია ინფორმაცია, რომლის ნახვა ყველას შეუძლია.

„ორი წელია, ამ თემაზე ვლაპარაკობ. ახალი ამაში არაფერია. კარგია, რომ მთავრობის წევრი კრედიტს იღებს და პატიოსნად იხდის, ვიდრე ის, რაშიც დახარჯა 8 მილიონი ყოფილმა პრეზიდენტმა. რატომღაც ისინი ამ თემაზე არ საუბრობენ. ეს არის კომერციული კრედიტები, არავითარი შეღავათი არაა. მე მაგალითად 11 პროცენტს ვიხდი. ისე, პატარა შეცდომა დაუშვეს, მათი გათვლებით უნდა ვიხდიდე 2800 ლარს, სინამდვილეში ვიხდი 1800 ლარს. ეს არაა ხელფასის 52 პროცენტი. პირველ წელს წინმსწრებით დავფარე უფრო მეტი“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას სოზარ სუბარი.

თავისთავად კარგია, როდესაც მინისტრებისა და მათი მოადგილეების საბანკო კრედიტების შესახებ ვრცელდება ინფორმაცია, თუმცა, ექპერტების განცხადებით ობიექტურობისთვის კარგი იქნებოდა ამავე არასამთვარობო ორგანიზაციას, ანალოგიური კვლევა ყოფილი ხელისუფლების პირობებში ჩაეტარებინა.

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის ხელმძღვანელი არჩილ გამზარდია for.ge-სთან საუბრისას ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურ ფლანგზე მეტად არასამთავრობო სექტორში ცდილობს აქტიურობას.

„იმდენი საერთო აქვთ, რომ ერთი შეხედვით ჩანს კიდევაც როგორ გადაჰკრავს პარტიული ელფერი არასამათავარობო სექტორის მესიჯებს. ჩნდება კითხვები, ეს ხომ არაა ირიბი პოლიტიკური მხარდაჭერა? უფრო მეტიც, არსებობს გარკვეული საკითხები, როდესაც 5-10 არასამთავრობო გამოდის ერთობლივი განცხადებით, მთელ ამ პროცესს წმინდა პოლიტიკური კამპანიის სახე აქვს, იმ მხრივ, რომ ხშირ შემთხვევაში, მცდარ განცხადებას აკეთებენ, მერე გაარკვევენ, რომ ამ განცხადებას საფუძველი ნაკლებად ჰქონდა“, – აცხადებს გამზარდია.

მისივე განცხადებით, მთელი ეს პროცესი მიმართულია იქითკენ, რომ ხელისუფლება წარმოადგინონ ბევრად უფრო საგანგაშოდ, რაც მისი თქმით, ეს ერთიანი კამპანიის ნაწილი უნდა იყოს, რომელიც გულისხმობს ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ანტისახელიუფლებო კამპანიას.

„ამიტომ, ბუნებრივია, რომ ეს შეკითხვები ჩნდება. ის ორგანაიზაციები, რომლებიც წლების განმავლობაში საჯარო სივრცეში იყვნენ და ხმას არ იღებდნენ, ამ შემთხვევაში რატომ არიან ასე მოწადინებულნი? ერთი მხრივ კარგია, თუ ისინი პროგრესულები და მეტად მოწადინებული გახდნენ, თუმცა, ჩნდება კითხვა, ხომ არაა რაიმე დაინტერესება, რომ რაზეც სურთ, იმაზე ჩუმდებიან, ხოლო რაზეც სურთ იმაზე ამახვილებენ ყურადღებას?“, – ამბობს არჩილ გამზარდია.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, კარგია, როდესაც მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო გაბედულები გახდნენ, მაგრამ ჩნდება კითხვა, ამ გაბედულების იქით ხომ არაა რაიმე პოლიტიკური ინტერესი, პოლიტიკური დაკვეთა?

„მეეჭვება ამ შემთხვევაში იყოს პოლიტიკური დაკვეთა, უბრალოდ, უნებლიედ, შეიძლება ამ ტიპის კვლევა მართლაც ნაციონალების ინტერესთან მოვიდეს ჰარმონიაში. ძირითადი მიზეზი ალბათ ის გახლავთ, რომ დღეს უფრო მეტი თავისუფლებაა, რომელიც ამ თავისუფლების გამოყენების სურვილს და საშუალებას აჩენს. თუმცა, სასურველია, გამოკვლევის დროს დაფიქრდნენ, ესა თუ ის გამოკვლევა რა პოლიტიკურ კონტექსტს იძენს მოცემულ მომენტში. ყველაფერი იმდენად პოლიტიკურია, რომ ანალოგიური ტიპის კვლევა, შეიძლება ვიღაცის წისქვილზე ასხამდეს წყალს“, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძემ.

ნანა სანიკიძე

◎ საქართველო წინაპრიზისულ მდგომარეობაში შედის

ყოფილმა მმართველმა პარტიამ ჩილეს სცენარი კარგად შეისწავლა

„პროგნოზები, ყოფილი მმართველი პარტია „ერთიანი ეროვნული მოძრაობა„ თავის არსებობას დაასრულებს ან პარტიულ ბრენდს შეცვლისო, ნაადრევი აღმოჩნდა“, – ნათქვამია „ნეზავისიმაია გაზეთას“ სტატიაში, რომლის ავტორია თბილისელი პოლიტოლოგი ალექსანდრე რუსეცკი. იგი ხაზს უსვამს, რომ მასობრივი სიძულვილის პირობებში, რომელიც გამოწვეული იყო ნაციონალთა მმართველობის პერიოდში ჩადენილი მრავალრიცხოვანი დანაშაულით, პარტიამ შეძლო არა მარტო თავის გადარჩენა, არამედ ის ქვეყანაში მთავარ საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიად გადაიქცა.

მაინც რამ განაპირობა ნაციონალთა სიცოცხლის გახანგრძლივება?

არსებობს რამდენიმე მიზეზი:

პირველი – კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს მოქალაქეთა იმედები ვერ გაამართლა. რამდენიმე რეფორმა, პოლიტპატიმრების გათავისუფლება და ფერმერების მდგომარეობის გაუმჯობესება საკმარისი არ აღმოჩნდა. პირიქით, გაუარესდა სამშენებლო ბიზნესის მდგომარეობა, შემცირდა გზების შეკეთების სამუშაოები, ამნისტიის გამო მოიმატა დამნაშავეობის დონემ, სახელმწიფო სტრუქტურებში შეიმჩნევა პროფესიონალი კადრების კრიზისი და კომპეტენტურობის დონის დაცემა, დაპირებები ძირითადად არ სრულდება... ასე რომ, „ქართულმა ოცნებამ“ თავისი უმოქმედობით თვითონვე მისცა, საშუალება მოწინააღმდეგე პარტიას, პოზიციები განემტკიცებინა“, – აღნიშნულია პუბლიკაციაში.

მეორე – მიზეზი ისაა, რომ მმართველი პარტია, ოპოზიციურისაგან განსხვავებით, პოლიტიკურ ბაზარზე ნაკლებად აქტიურობს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კი აშშ-ში და ევროკავშირის ქვეყნებში გეგმაზომიერად და მრავალმხრივად მუშაობს. ნაციონალები აქტიურად სარგებლობენ აგრეთვე თავიანთი პარტიული კავშირებით ევროპულ პარტიებთან (განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა ევროპის სახალხო პარტიასთან მიმართებით), რითაც მმართველ კოალიციას ნეგატიური იმიჯი შეუქმნეს, თვითონ კი საკუთარი თავი ქვეყანაში ერთადერთ დასავლურ ძალად და პოლიტიკური გადატრიალების მსხვერპლად წარმოადგინეს, რომელიც „რუსეთის დახმარებით განხორციელდა“;

მესამე – კოჰაბიტაციურმა რეჟიმმა, რომელიც გარკვეულწილად გარედან ჩარევის შედეგად დამკვიდრდა, პოლიტიკურ არენაზე სხვა ოპოზიციური პარტიების შეზღუდვა გამოიწვია, ისინი ფაქტიანად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ნაციონალებმა არჩევნების დროს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით პარლამენტში არაპროპორციული რაოდენობის ადგილები მიიღეს, ხოლო ოპოზიციური პარტიების მოწოდებამ რიგგარეშე არჩევნების ჩატარების თაობაზე მმართველ კოალიციაში გამოხმაურება ვერ ჰპოვა. შეიძლება ითქვას, რომ გარეშე ძალების შუამავლობით მოხდა სეპარატიული გარიგება, რომლის შედეგად ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არათუ არ ჩაიძირა, არამედ მან მთავარი ოპოზიციური პარტიის ყველა პრივილეგია მიიღო;

მეოთხე – ნაციონალებს ჰყავთ თავიანთი „გავლენის ჯგუფები“ ხელისუფლების სხვადასხვა სისტემაში. ზოგიერთ სფეროში ფარული საბოტაჟის ფორმებიც კი ჩანს, რომელიც ჩილეში მემარჯვენეთა მიერ განხორციელებულ საბოტაჟს შეიძლება შევადაროთ: პრეზიდენტს სალვადორე ალიენდეს მმართველობის პერიოდში, 1973 წლის აგვისტოში, მისი მხარდამჭერი პარტია პარლამენტში მისივე მოწინააღმდეგეებთან გაერთიანდა, რის შედეგადაც პრეზიდენტი (საყრდენი ძალის) გარეშე დარჩა. რა მოხდა შემდეგ, 11 სექტემბერს, სანტიაგოში, ყველასათვის ცნობილია... მსგავსი სცენარი საქართველოშიც შეიძლება განხორციელდეს: ერთი მხრივ, ხელისუფლების არაკონსტიტუციური შეცვლის საფრთხე არსებობს, მეორე მხრივ, თვითონ ხელისუფლებაც შეიძლება იყოს პროვოცირებული და ამ დროს განხორციელებული დაუფიქრებელი და კონტრპროდუქტიული ქმედებები ქვეყანას ზიანს მიაყენებს;

მეხუთე – ნაციონალურ მოძრაობას ჯერ კიდევ აქვს გავლენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, პარტია აკონტროლებს ტელეკომპანიებს და დომინირებს სოციალურ ქსელებში. გარკვეული ფონდებიდან ფინანსდება ბლოგერების მომზადება და საინფორმაციო შეტევები. რესურსები, რომლებიც ნაციონალების მიერ საინფორმაციო პოლიტიკაშია ჩადებული, უზარმაზარია;

მეექვსე – საკუთარი რესურსების გარდა, ნაციონალები აქტიურად სარგებლობენ გრანტების რესურსებითაც: მათ სრულად ან ნაწილობრივ ექვემდებარება არასამთავრობო ორგანიზაციების საკმაოდ დიდი ნაწილი, რომლებიც დასავლური გრანტებით იკვებებიან. აქ არამხოლოდ ფინანსური, არამედ საკადრო მხარდაჭერაც ჩანს – არასამთავრობოები ახალგაზრდა ტალანტური კადრების აქტიურ რეკრუტირებას ეწევიან და მათ თავიანთ სტრუქტურებში ამუშავებენ, კოალიციაში კი მხოლოდ რესპუბლიკური პარტია ცდილობს, ნაციონალებს წარმატებული კონკურენცია გაუწიოს. თვით ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც საკუთარი ნებით წავიდა არასამთავრობო სექტორში, ჯერჯერობით თავისი შესაძლებლობები ვერ გამოავლინა, იგი „ქართველი ჯორჯ სოროსი“ ვერ გახდა;

მეშვიდე – აუცილებელია იმის თქმაც, რომ ნაციონალური მოძრაობა მოქმედებს იმ პირობებში, როცა პარტიის ლიდერები ციხეში სხედან (ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა..), გარკვეულ სამართლებრივ დევნას განიცდიან ლიდერთა ახლობლები... ამ ფონზე ნაციონალური მოძრაობის ელიტაში იზრდება შიში – „ვინ იქნება შემდეგი?“. საკითხი ეხება არამხოლოდ პარტიის ელიტის ბედს, არამედ მრავალმილიარდიან კაპიტალს. ცხრა წლის მანძილზე ყოფილი მმართველი პარტია, რომელიც ქვეყნის შიგნით ვითომდა კორუფციას ებრძოდა, ქვეყნის გარეთ მილიარდებს აგროვებდა. სწორედ ამიტომ მილიარდერ ბიძინა ივანიშვილსაც კი გაუჭირდა მათთვის კისერის მოგრეხა, სწორედ ამიტომ ჯერაც მოსალოდნელია ნაციონალთა მხრიდან განხორციელებული არაორდინალური ქმედებები, რომლებიც არსებული პოლიტიკური რეჟიმის არაკონსტიტუციური შეცვლისკენ იქნება მიმართული.

როგორ შეიცვლება სიტუაცია საქართველოში, ეს დამოკიდებულია უპირველესად ძალთა ბალანსის გეოპოლიტიკურ ცვლილებებზე: იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოსკოვი და ვაშინგტონი სუამ-ის სივრცეში გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებიან. ამის დადასტურებაა ის, რომ აშშ-ის სენატმა საქართველო, უკრაინა და მოლდოვა, რომლებიც ნატოს წევრები არ არიან, ამერიკის მოკავშირეებად გამოაცხადა. რუსეთიც საპასუხო ნაბიჯებს ახორციელებს – სერგეი ლავროვმა უკრაინის (ანუ სუამ-ის ქვეყნებისაც) ნეიტრალიტეტით დაინტერესება გამოხატა, გრიგორი კარასინმა კი მიანიშნა სტრატეგიული გზების მშენებლობა, რომლებითაც რუსეთი, საქართველოს მეშვეობით, სომხეთს და ირანს დაუკავშირდება. ამის პარალელურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ თბილისი ვაშინგტონს საქართველოს ტერიტორიაზე ახლო აღმოსავლეთში გასაგზავნ მებრძოლთა მოსამზადებელი ცენტრის შექმნას სთავაზობს... მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ უარყო აღნიშნული ინფორმაცია, ფონი მწვავდება“, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

მედია — ხელისუფლების, კლანის თუ სახელმწიფოს სამსახურში?

ყველა, ვინც დემოკრატიის ნიღბით გვიტევს და ქვეყანას ანადგურებს, გასაკრიტიკებელი კი არა, მოსაცილებელია!

დრო, **როგორც ყოველთვის, სწრაფად გადის, და დასანანია, რომ უკან მოხედვის გეშინია — ვითომ დემოკრატია, ვითომ პარლამენტი, ვითომ მთავრობა, ვითომ ეკლესია, ვითომ მედია, ვითომ სამშობლოს სიყვარული და ასე თითქმის ყველაფერში ვითომ. სწორედ იმან, რაც ვითომ-ის მიღმა იმალებოდა, დააქცია ქვეყანა, უფრო გასაგები რომ იყოს, სიტყვა „ვითომ“ შევცვალოთ სიტყვა „მოღალატით“ და ყველაფერი თავის ადგილას დადგება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აქა-იქ მაინც იყვნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნეები პოლიტიკაშიც, მედიაშიც, ეკლესიაშიც, სხვათა შორის, დიდებულად თქვა ბატონმა რეზო ამაშუკელმა — ჭყონდიდელი გვყავს, ესაა აღმაშენებლის მოლოდინში ვართო, ღმერთმა ქნას, მალე აგვიხდეს. მანამ კი გარეშე და შინაური მტები თავისას არ იშლიან — უკრაინული მაიდნით იმუქრებიან და წარსულში გვაბრუნებენ.**

მაგრამ, ნუთუ საკმარისი არ არის ძმათა მკვლელი ომების მაგალითები, გასული საუკუნის 90-იანი წლები, დანაწევრებული ქვეყანა, დაკარგული ტერიტორიები ერთი კაცის და ერთი პარტიის ამბიციებს ხომ არ უნდა გადავაყოლოთ ქვეყანა. კაცისას, რომელსაც სამწუხაროდ, დიდი მხარდამჭერი ყავს, როგორც ამერიკელთა სტრატეგიული ინტერესების განმახორციელებელს, რომელმაც დემოკრატიის საბაბით დაიწყო ევროპის ბალკანიზაცია და ვინ იცის ხვალ ვის მიადგება „ტირანიის დასამხობად“.

არადა, ტირანია ჩვენ რომ გვქონდა სააკაშვილის დროს დემოკრატიით შეფუთულ-შელამაზებული, ისეთი უნდა, ჰოდა, იმ ხელისუფლებას რომ ემსახურებოდა ის მედია, არასამთავრობები და ძმანნი მისნი, მხოლოდ გასაკრიტიკებელია? აქაოდა, ეს რა წამოსცდა ბიძინა ივანიშვილსო — ხელშეუხებელი არავინაა, ჟურნალისტებიც უნდა გავაკრიტიკოთო“, მედიაც თავისი გავლენის ქვეშ უნდა მოაქციოს და ჩრდილოეთ კორეას უნდა დაგვამგვანოთო. რით სჯობს ესენი კორეულ მედიას, ესეც გასარკვევია, ერთხელ მაინც დასცდენია ე.წ. სახალხო ტელევიზიას „რუსთავი-2“-ს და სხვებს მიხეილ სააკაშვილის და მისი ხელისუფლების აუგი! ვითომ ხალხის სამსახურს, დემოკრატიას, თავისუფლების ლოზუნგებს ამოფარებულები აკრიტიკებენ ყველას ნაცების გარდა.

საქმიანი კრიტიკა მისაღებია, გასათვალისწინებელია. ნათქვამია, მოყვარეს პირში უძრახეო, მაგრამ გესლიანი, შხამიანი კრიტიკა, თანაც არა მოყვრისგან, როგორი ასატანია? ან რას გავს მათი საინფორმაციო პროგრამები? თქვე დალოცვილებო, შეიძლება ყოველდღე სააკაშვილის თუ მისი თანაგუნდელების ნახევარსაათიანი ჩართვები? ინფორმაცია ხომ 2-3, მაქსიმუმ 5-წუთიანი უნდა იყოს (საზღვარგარეთულ ტელევიზიებს ხომ უყურებთ), მაგრამ პატრონს ხომ უნდა ასიამოვნონ, ამდენს ტყუილად ხომ არ უხდიან ხალხის ნაძარცვ-ნაყაჩაღარი ფულებიდან, ამ დროს ქვეყანაში არიან და იყვნენ (ასობით რედაქცია დახურეს ვითომ დემოკრატებმა) მართალი, პატიოსანი, პროფესიონალი ჟურნალისტები, სერიოზული გაზეთები, რომელთაც უჭირთ, მაგრამ 30 ვერცხლად არ გაუყიდიათ ქვეყანა, იმიტომ რომ აქვთ პასუხისმგებლობა პროფესიული და ზოგადად, ადამიანური მოვალეობის წინაშე. **მედია და ღირსება — აი, რა არის კრიტერიუმი და ეს მოეთხოვება ყველას ვიდრე სინდისის ძარღვი არ გაწყვეტილა, თორემ მერე ყველაფერი იოლია, დაქცეულ ქვეყანაში მოაწყო გადაცემები „ცხოვრება საამურია“ (გააჩნია ვისთვის), „მოდელირებული ქრონიკებით“ გაამწარო ხალხი, იუმორისტული შოუები პოლიტიკურ ინსტრუმენტად აქციო, იქილიკო ყველაზე, ოღონდ არა სააკაშვილზე და არა ნაცებზე, იმიტომ რომ გაფინანსებენ, თავს გევლებიან, ამათ რომ ვუყურებ ხელისუფლებაში ისევ სააკაშვილი და ნაცები მგონია, ნუთუ, „სახალხო ტელევიზიამ“ არ უნდა დაიჯეროს, რომ ხალხმა ზურგი აქცია დემოკრატიას ამოფარებულ დიქტატორს, რომ ის გუშინდელი დღეა.** ჟურნალისტური ნიჭი, რაც ბევრს უდავოდ გამოარჩევს, ქვეყნის გადარჩენას, ხვალინდელ დღეს, ძმობას სიყვარულს მიუძღვენით, რომელიც 100 პარტიის და ამდენივე არასამთავრობოს მიუხედავად, ერთია თავისი სატკივარითა და საწუხარით. მომრავლდნენ ისეთი პრესა-ტელევიზიები, ჟურნალისტები, რომლებიც მაგალითია იმისა, როგორი არ უნდა იყოს პრესა-ტელევიზია და, საერთოდ, ჟურნალისტიკა. მედია, სახელმწიფოს, ხალხის ინტერესებს უნდა გამოხატავდეს, იცავდეს და არა — ხელისუფლების, რომელიც დროებითია და თანაც ხალხს კი არ ემსახურება, პირიქით იმსახურებს, ძარცვავს და აჩანაგებს ქვეყანას. როცა გუნდრუკს უკმევ ასეთ მოღალატეებს ღალატის თანამონაწილე ხარ, თუ უარესი არა. ან ეს ტელევიზიები ერთმანეთს რამ დაამგვანა — სააკაშვილის მონატრებისა და ბიძინა ივანიშვილის გინების მერე თურქულ კინოებს ჩაგირთავენ. ასე იდევნება ქართული სამყარო და შემოდის რაღაც უცხო, მიუღებელი ჩვენი მრწამსის, ყოფისა და ტრადიციებისათვის. მოკლედ, მათ გადაცემებზე ან უნდა იტირო, ან უნდა იცინო (შოუები არ გვაკლია, ყველა ყველას დასცინის). აი, მესამესთან, მთავართან, აზროვნებასთან ცოტა მწყრალად გვაქვს საქმე, ასეთ გადაცემებს აქ ვერ ნახავთ. ჟურნალისტობიდან მწერლობამდე ერთი ნაბიჯია, გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველა, ჰემინგუეი და სხვები. დღევანდელი, თუნდაც წამყვანი ჟურნალისტების ნაღვაწიდან, რა წიგნები დარჩება შთამომავლობას, ესეც საკითხავია.

ზემოთ ჟურნალისტიკა, ღირსება და პროფესიონალიზმი ვახსენე, რა დიდი ცოდნა და სითამამე უნდა გქონდეს კაცს, გამოხვიდე ტელევიზიით, პრესით და ჭკუა ასწავლო ქართველ ხალხს, რომელიც პრეზიდენტ მარგველაშვილის ანალიზით ცოტა ჭკუასუსტი ყოფილა. ვეთანხმები, ასეთ კაცს რომ ირჩევ, უარესის ღირსი ხარ. მაგრამ, რომ არა ბიძინა ივანიშვილის ხათრი, მაგას კი არა, ბარე ას კაცსაც არავინ აირჩევდა პარლამენტში, ქანქარასავით რომ არიან და პოლიტიკური ქარი საითაც დაუბერავს იქეთ რომ იხრებიან. **ასეთების კრიტიკა კი არა, ასპარეზიდან ჩამოცილებაა საჭირო. რომელი სახელმწიფო კაცები ეგენი არიან, მადანზე მეოცნებები, ფარსადან-შადიმანები ახალი საუკუნისა.** ეტყობა, გენი არ ისვენებს — უკვდავია, მაგრამ რაღა ამათი, სად არიან დავითის, თამარის, თევდორეს, ცოტნეს, და სხვათა მოდგმისანი, ამათ რომ სასაცილოდ არ ყოფნით, ვითომ ახალ ქართველებს, ამერიკელ — ევროპელებს, სოროსის და თავისუფლების ინსტიტუტის შვილობილებს, თავიანთ ამბიციებს და კეთილდღეობას რომ გადააყოლეს საქართველო. სამწუხაროდ ამათ სამსახურშია მედიის უმეტესი ნაწილი, იშვიათად, ან საერთოდ ვერ ნახავთ გადაცემებს ეროვნულობაზე, ჩვენს საამაყო წარსულზე, ტრადიციებზე, ჰუმანიზმზე, ქვეყნისა და ხალხის უამრავ სატკივარზე, დაკარგულ ტერიტორიებზე და უპირველესად, დაკარგულ ძმებზე — ოსებსა და აფხაზებზე, რომლებიც ჩვენი ურთიერთობის შემხედვარე, კარგა ხანს არ მოიხედავენ მშობლიური საქართველოსაკენ. უპირველესად, ადამიანებია დასაბრუნებელი თუ ჩვენკენ მოსაბრუნებელი, მაგრამ ამისთვის არ ცხელა ქართულ მედიას, აქ მხოლოდ ერთმანეთის ლანძღვა-გინებაა, დაპირისპირება და კინკლაობა — ყველაფერი სანახაობად, შოუდ იქცა. ეკრანთან მხოლოდ ნაციონალები და ოცნების წარმომადგენლები პაექრობენ, როგორც პოზიცია და ოპოზიცია, რაშიც ეჭვი ეპარება ხალხს.

დემოკრატია და მასმედია განუყოფელია. თავისუფალი სიტყვა დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარია, მაგრამ არის ბილწი „თავისუფალი სიტყვა“, ყველაფრის მკადრებელი, შხამიანი, მომწავლელი, სიტყვით მკვლელობა ყველაფერზე უარესია და მას ისევ სიტყვით, სიმართლით და კრიტიკით უნდა დაუპირისპირდე, უნდა გამოაშკარაო, ნიღაბი ახადო. სამწუხაროდ, ასეთი ბილწსიტყვაობის დიდოსტატები მრავალი წყაროდან ფინანსდებიან. იშვიათად ნახავთ მათ შორის სერიოზულ გაზეთებს, მათი პატრონი არავინაა. ხალხს უჭირს და ამდენად, არც გასაღების ბაზარი არ არსებობს. რაღა ასეთი გაზეთებისგან ითხოვთ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დაცვას, ისწავლეთ თავის რჩენაო — უკიჟინებენ ყველასგან მიტოვებულ პროფესიონალებს, როცა მილიონებით ფინანსდება სხვები, ჩამოვთვალოთ? სამწუხარო ისაა, რომ ბევრი ორგანო თვით სახელმწიფოსგან ფინანსდება, მათ შორის, არაფრის მკეთებელი, უსარგებლო პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები. ეროვნულ და სამართლიანობის პოზიციებზე მდგომი გაზეთები არავის ახსოვს, იქნებ დროებით მაინც დაფინანსდეს ისინი ხალხის ბიუჯეტიდან, რომელსაც ქვეყნის ხელისუფალნი ლამის პრემიებად ინაწილებდნენ. თუკი ცენტრში არსებობს საზოგადოებრივი სატელევიზიო არხი, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება (ცოტა გაუგებარია მისი პოზიციები), იქნებ, ადგილებზეც, რეგიონებშიც შეიქმნას საზოგადოებრივი ტელევიზიები, გაზეთები, რომლებიც ხალხის და სახელმწიფოს ინტერესებს დაიცავენ და არა მხოლოდ ხელისუფლების. ვერავინ დააყვედრის, რომ ვიღაც აფინანსებს, ეს ხომ ხალხის დაკვეთა იქნება მხოლოდ.

დემოკრატია და მასმედია განუყოფელია. თავისუფალი სიტყვა დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარია, მაგრამ არის ბილწი „თავისუფალი სიტყვა“, ყველაფრის მკადრებელი, შხამიანი, მომწავლელი, სიტყვით მკვლელობა ყველაფერზე უარესია და მას ისევ სიტყვით, სიმართლით და კრიტიკით უნდა დაუპირისპირდე, უნდა გამოაშკარაო, ნიღაბი ახადო. სამწუხაროდ, ასეთი ბილწსიტყვაობის დიდოსტატები მრავალი წყაროდან ფინანსდებიან. იშვიათად ნახავთ მათ შორის სერიოზულ გაზეთებს.

ტელევიზიებს, ეროვნულ-ნაციონალური პარტია და მისი მხარდამჭერი მედიაა, რომელთა მარტო კრიტიკა დიდი შედეგის მომტანი არაა, ეს იმას გავს „ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის“. თუმცა, ეს დიდი ქარავანი ეშმაკმა უწყის, საით მიდის, ან საით უბიძგებს ქვეყანას, სადაც, სამწუხაროდ, ცხოვრებაც თავისი გზით მიდის, ასე რომ, „გაღმა გასვლისა მსურველთა, უკუღმა მიგვყავს ბორანი“.

სანამდის — ქვეყანა ცალკე, მთავრობა ცალკე, ხალხი ცალკე, მედია ცალკე, როგორც „ლებედ, რაკ და შუკა“ ?.

ზურაბ აბრალავა,
„სრ“ კორ.

ინგა გრიგოლია და... შავი სატელევიზიო პარასკევი

რატომ, რისთვის, რად წირავთ ქვეყანას, კოლეგებო?

ჯერაც სარეკლამოდ დაანონსებულში ქალბატონი ინგა გვპირდებოდა, რომ დიდ სახალხო-საყოველთაო შოუში რაღაც საოცრებას მოგვივლენდა. ხმის კილო-ტონალობაშიც აშკარად გამოსჭვივოდა, ამ ხელისუფლებას რა შავ დღესაც დააყრიდა. გადაცემის თემა რომ კრიმინალის მოჭარბება იქნებოდა, თურმე და, ნუ იტყვი, სააკაშვილის ავადსახსენებელი 9 წელი რა სახსენებელია იმასთან, რაც დღეს ხდება ქვეყანაში. თან გვაფრთხილებდა, არავითარი აჟიოტაჟი, საზოგადოებრიობის დაფრთხობა-დაშანტაჟება არ იქნება, ყველაფერი ობიექტურად წარიმართებაო. აქვე ვიტყვი, გადაცემის იმ ნაწილში, რისი ყურებაც შევძელი, თითქოს ცდილობდა, მიუკერძოებელი ყოფილიყო, მაგრამ გულუბრყვილო მაყურებელიც კი ადვილად შენიშნავდა, რომ გრიგოლია კვლავინდებურად ნაციონალების დაკრულზე ცეკვავდა.

როგორც ყოველთვის, ცალ მხარეს მიშისტები ჩამოარიგა (მაინც სად პოულობს ამდენ ტვინგამორეცხილ, უნამუსოდ ცრუპენტელას, ქვეყნისა და სამშობლოს მოძულეს?).. პირველი სიტყვა გახელაძეს მიართვა — საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ ხელმძღვანელს, გახელაძეს, რომელიც ცდილობდა, ეს სახალხო ტელემაუწყებლობა „რუსთავი-2“-ის რელსებზე გადაეგორებინა, რის გამოც იქიდან გამოძუნძულებულ-დაბოღმილი, აშკარად გაბოროტებული, ბრალს სდებდა დღევანდელ ხელისუფლებას, მის უნიათობას აბრალებდა კრიმინალის „არნახულ“ ზრდას, ვითომ მიშას 9-წლიანი ჯოჯოხეთი მას არ ეხილოს. არადა იმ წლებში ამოივსო მშიერი სტომაქი, გაძღა და კისერი გაისქელა...

გახელაძეს გვერდით მსუქანა ვინმე რომ ეჯდა (სამწუხაროდ, მისი გვარი ვერ დავიმახსოვრე), სანამ მიკროფონს გადასცემდნენ, ისე ცმუკავდა, ზონზროხა სხეულს ისე ქაჩავდა, უსიტყვოდაც ცხადი იყო, რა სიავის გადმოფრქვევაც უნდოდა და არც დაახანა. ეგ კიდევ არაფერი, ყველაზე მძიმე არტილერია, ჩვენს ინგას, იქვე, მეოთხე თუ მეხუთე რიგში ჰყავდა ჩასაფრებული — მეტისმეტად პუტკუნა, ტუჩებშეღებილი, ბუს სათვალეებიდან რისხვა-ბოღმის მფრქვეველი, რომლის დაოკებაც ვითომდა დიდი მცდელობის მიუხედავად, თვით ყოვლისშემძლე ინგამაც ვერ შეძლო.

ქალბატონი, კოლეგა ინგა ნაღდი ჯადოქარია, როდესაც სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელთან ერთად ოპოზიციის ენაგატლეკილი წარმომადგენლები ჰყავს მიწვეული. ჯერ სახელისუფლებოს მისცემს სიტყვას, ალაპარაკებს იმ მომენტამდე, სანამ აწყობს, მერე კი — ან ჯაფარიძეს, ან გაბაშვილ-მინაშვილებს და მათნაირებს იმათთვის საათის ისარი თითქოს არ მუშაობს) ალაქლაქებს, შიგადაშიგ კი შეახსენებს, დროა, დაასრულოთო, მაგრამ იმათშიც იციან, რომ ჟურნალისტი ფარისევლობს, ჰოდა უბერავენ და უბერავენ.

ასე იყო პარასკევის შოუშიც. **ეკა ბესელიამ, ხელისუფლების გუნდის კომპეტენტურმა პირებმა კონკრეტული, შემოწმებული ფაქტები კი დაუდეს წინ,** თქვეს რომ იმასთან შედარებით რაც ნაციონალების მმართველობის 9 წლის განმავლობაში ხდებოდა, დღეს არაფერი საგანგაშო არ ხდება, დღეს სამოთხეში არა ვართ, მაგრამ ყველაფერი უკეთესობისკენ მიდისო. ფაქტებიც წარმოადგინეს.

ვინ მოგისმინა, ნაცების დარწმუნება ხომ ზედმეტია! მეც ველარ გავუძელი და რატომღაც „რუსთავი-2“-ზე გადავრთე ტელევიზორი. აქ კი ვანო ჯავახიშვილი, ეს მართლაც კაცუნა, სხვისი ნაკარნახევის თუთიყუში. მხოლოდ საკუთარი სხეულის მანჭვა-გრეხვით ცდილობს თავის გამოჩენას, ჰოდა მიდგა ბატონ ბიძინას, ოცნების გუნდის სხვა წევრებს, უფრო ირაკლი ღარიბაშვილს აქილიკებდა...

პულტის ღილაკს დავაჭირე თითი და მშობლიურ საზოგადოებრივ არხზე გადავრთე. იქ ხომ თითქმის სამი ათეული წელი ვიმუშავე, იმხანად, ანუ კომუნისტების დროს, ჩვენი ტელე-რადიო მაუწყებლობა ასჯერ უფრო ეროვნული იყო და დიდ საქვეყნო საქმეებსაც აკეთებდა, ვინემ დღევანდელი ათობით მაუწყებლობა.

გადავრთე და ეკრანის სიგრძე-სიგანეზე წიკლაურის გასიებული სიფათი შემომეფეთა, მას გვერდს უმშვენებდა ღიმილ-გესლიანი ვაშაძე...

არ გეგონოთ, კრიტიკის წინააღმდეგი ვიყო, ვინმეს საქებ-სახოტბოდ კალმის წვერი ერთი ორჯერ თუ გამირჯია... უკრიტიკოდ სახელმწიფო ვერ იქნება და ჟურნალისტის ვალია, ხმალშემართული იდგეს ქვეყნის სადარაჯოზე. ოღონდ კრიტიკა უნდა იყოს ჯანსაღი, ობიექტური, სამართლიანი, და არა ისე, საზოგადოებას სიცოცხლე ჯოჯოხეთად უქციო, როგორც ეს „რუსთავი-2“-ის ვაიდირეტორს სწადია.

მე, მაგალითად ბევრი რამ არ მომწონს ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლებისა, კერძოდ ეკონომიკის მინისტრის გიორგი კვირიკაშვილისა, რომელიც აგერ მესამე წელია და ყურის ძირში მდებარე, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქის ცხოვრებით ერთხელ არ დაინტერესდა. ერთხელაც არ ჩამოსულა, არ უკითხავს, რა გვიჭირს, რა გვინდა.

არადა, უმუშევრობა კლავს ქალაქს პირდაპირი მნიშვნელობით. ამის შესახებ მრავალჯერ დავწერე და ახლაც გავიმეორებ, ყოველწლიურად 5 ათასამდე ქალიშვილი და ჭაბუკი ამთავრებს, საჯარო სკოლას თუ უმაღლეს სასწავლებელს, რუსთავში კი სანთლით რომ ეძებო სამუშაო, ერთი მათგანიც ვერ დასაქმდება.

დიახ, საკრიტიკოდ კბილგასაკრავი სხვა სფეროშიც ბევრია, მაგრამ ამ მოკლე დროში გაკეთებული ვერ დავინახო, ეს ხომ ქვეყნის სიძულვილს ნიშნავს! თუნდაც საერთოდ აღგვილ სოფლის მეურნეობაში ახალი სიცოცხლის შთაბერვა რომ ვთქვათ, ან ჯანდაცვის რეფორმები... ყველაზე მეტად დემოგრაფიაზე ზრუნვა მაიმედებს. მიშისტებმა მშობიარობა ხომ ფასიანი გახადეს... დღეს მშობიარობა უფასოა, ქვეყნის უმეტეს, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც მეტად უჭირთ, მესამე შვილზე, ყოველთვიური 200 ლარი გაიცემა და ათასი სხვა რამ, შენდება გზები, სახლები და კიდევ რა ვიცი, რა არ კეთდება.

ამ დღეებში, როდესაც საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის თავკაცობით საზღვარგარეთ ფრიად წარმატებულ შეხვედრებს მართავდა, გაეროში მისი ჩინებული გამოსვლა და კიდევ მრავალი სხვა ვითომ არაფერი ყოფილიყო, პარასკევის საღამოს სატელევიზიო შოუებმა საამისოდ ვერ მოიცალეს.

ისე მიშა რომ მაგარია, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი — გაეროში ბატონ ირაკლის ამერიკაში მცხოვრებმა რამდენიმე ქართველმა საპროტესტო გამოსვლა რომ მოუწყო, ეს მიშას გარეშე რომ არ მოხდებოდა, წყალი არ გაუვა, მაგრამ იმ გამყიდელ ქართველებს რა ვუთხარი, ნუთუ ფულზე გაყიდეს სამშობლო?

მიშას და ნაცებს რომ დიდი ფული აქვთ, ამას რა მტკიცება უნდა, მოსყიდული ჟურნალისტიც რომ ბევრი ჰყავდეთ, რა გასაკვირია, თუნდაც „მაესტროში“, რომელმაც ლამის „რუსთავი-2“-ს გადაამეტოს.

არ ვიცი, ვინ მოსყიდულია, ვინ არა, მაგრამ, ერთი კი ცხადია, ბოლო რამდენიმე ათეული წელი არეულ-დარეულ, ნაბრძოლ-ნაომარ და ნაოხარ ქვეყანაში ისევ და ისევ ხალხის დაშინება, უიმედობის დათესვა, მხოლოდ სიავის წამოძახილი ფსიქიკური მოშლის საფრთხეს უქმნის ჩვენს ხალხს.

რატომ, რისთვის, რად წირავთ ქვეყანას, კოლეგებო? აბა, ერთი ჩაიხედეთ იმ ადამიანების გულებში, რომლებმაც ნაციონალების ჯოჯოხეთი საკუთარი სიცოცხლის ფასად მოაშორეს ქვეყანას!

გივი ჯაბუა,
„სრ“ საკ. კორ.

◎ კაკალ გულში

წუხელოჯაწი ოჯახები

- **ხალხოოო! გთხოვთ და გეაჯებით! დაანებეთ ამ გადაშენებული ხალხის პიარს თავი! რაც მეტჯერ ახსენებთ, მით უფრო ამაყად გრძნობენ თავს! რაღა „რუსთავი-2 და რაღა ფეისბუკი.**

დღევანდელ პრობლემებს მივხედოთ. იმაზე ვილაპარაკოთ, რაც დღეს ხდება, თორემ ეგრე ეუოვის, აღა მახმად ხანის და კონსტანტინე მირზას დედაც!!!

- **ღარიბაშვილი და 42 უსაქმური!**
- **1001 ღამე (ანუ სამი წელიწადი, როცა დერვიშებს უკეთ უნდა ეგრძნოთ თავი...**
- **რატომ არის, რომ თითქმის ყველა ზვიადისტი მიშას მომხრედ მოგვევლინა? საერთოდ რა მოვლენაა ბელადომანია, ანუ მონობისკენ ლტოლვა, რა საშინელებაა ემონო და კომფორტულად გრძნობდე თავს (მე თუ მკითხავთ აჯანყებული გურულის ძეგლს ყველა ქუჩის თავსა და ბოლოში დავდგამდი, მარად ამბოხებულის საპოპულარიზაციოდ). ეს „პაროდა“ მე საერთოდ ქრისტიანად არ მიმაჩნია, სექტას კიდევ აქვს რაღაც კონცეფცია, მარა მონობას, ხალხო?**
- **ჩვენმა პრეზიდენტმა ვერა და ვერ მოიცილა გაუგებრობაში მოხვედრილი კაცის გამომეტყველება.**
- **აფრიკაში მცხოვრებ შავკანიანს რამე რომ არ ეწყინოს, აფროაფრიკელი უნდა დავუძახო?**
- **რა ზომებს უნდა მიმართოს შტაბმა 6-ბალიანი შტორმის წინააღმდეგ, გთხოვთ თეა სიჭინავას უთხრათ!**
- **ახლა დავოსში წასვლა...**
- **დავოსში წასვლის მსურველებმა რეგისტრაცია გაიარეთ რუსთაველის მეტროს ჩასასვლელთან — პირადობის მოწმობა თან იქონიეთ...**
- **პრემიერის ინიციატივით, დღეს 1 ოქტომბერია - დადგენილება ძალაში შევა 00:00 საათიდან...**
- **იმედზე გამოაცხადეს, დიდი სახლის პატარა დიასახლისი იწყებაო.. დედას გაუხარდა, რამე ჯეკ ლონდონის მიხედვით იქნება ალბათო და ნურას უკაცრავად.. თუქიშ სერიალი გაიჩითა.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიანჩალიანი

რეალიზებულია 104 ათასი ტონა ყურძენი

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაურმა განმარტა, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრისგან მიიღო ინფორმაცია რთველის წარმატებულად მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

მისი თქმით, უკვე რეალიზებულია დაახლოებით 148 მილიონი ლარის ღირებულების ყურძენი. „ეს არის ნამდვილად სასიამოვნო ინფორმაცია და მინდა, მოსახლეობას ვაცნობო ამის თაობაზე“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

„ევროპული ენების“ დღეზე ქართული ენაც იქნება წარმოდგენილი

სტოკჰოლმში „ევროპული ენების“ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს საელჩოს ძალისხმევით , ქართული ენა პირველად იყო წარმოდგენილი.

საგარეო უწყების ინფორმაციით, შვედეთში საქართველოს საელჩო სტოკჰოლმის სკოლების მოსწავლეებისათვის პრეზენტაციას გამართავს, ქართული ენის შესახებ.

ღონისძიების ორგანიზატორია შვედეთში ევროკომისიის წარმომადგენლობა, რომელიც „ევროპული ენების“ დღის ფარგლებში ატარებს ონლაინ კონკურსს შვედეთის სკოლების მოსწავლეებისათვის (მე-7 კლასიდან ზევით) სხვადასხვა ენების, მათ შორის, ქართული ენის ცოდნის გამოსავლენად.

აღსანიშნავია, რომ 26 სექტემბერს „ევროპული ენების“ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ვილნიუსშიც გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საელჩომ. ქართული კუთხე დამთვალიერებლებს სთავაზობდა ინფორმაციას ქართული ენის შესახებ, აგრეთვე საქართველოს საელჩომ წარმოადგინა სხვადასხვა მასალები საქართველოს კულტურის, ტურიზმის და ლიტერატურის შესახებ.

ენების ევროპული დღე 2001 წელს დაწესდა ევროპის საბჭოს მიერ, რათა აღენიშნა ევროპის კულტურული მრავალფეროვნება და მრავალენოვნება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მედიის თავისუფლების მხრივ საქართველო პირველ ადგილზეა

კვლევის თანახმად, მეორე ადგილზეა მოლდოვა, მესამეზე კი — უკრაინა, რომელმაც გასულ წელთან შედარებით პოზიცია ერთი საფეხურით გაიუმჯობესა და უკან ჩამოიტოვა სომხეთი. შემდეგ პოზიციაზე არიან აზერბაიჯანი და ბელორუსი. საქართველო, ამავე კვლევაში, გასულ წელსაც პირველ ადგილზე იყო.

კვლევა „მედიის თავისუფლების ინდექსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მიმდინარე წლის მხოლოდ პირველ ნახევარს მოიცავს და შეფასებულია მხოლოდ გამოხატვის თავისუფლების დონე.

კვლევის თანახმად შეფასების კრიტერიუმებია: პოლიტიკური კონტექსტი (კონსტიტუციით მინიჭებული მედიის თავისუფლებისა და უფლებების დონე), არსებული პრაქტიკა (მედიის თავისუფლების შეზღუდვა), მათ შორის თავდასხმები, მუქარა და დაკავებები, გამოძიებები, ინფორმაციაზე წვდომის კუთხით ცენზურა და თვითცენზურა; წვდომა მაუწყებლობაზე; წვდომა ინტერნეტზე.

კვლევის ფარგლებში 60 მედიაექსპერტი გამოიკითხა.

ინტერპრესი

გაუარესებული კლიმატი და უვარგისი ინფრასტრუქტურა – ნაბიჯი კატასტროფამდე

დასავლეთ საქართველოში იმდენად მასშტაბური სტიქიაა, ზარალის დათვლა ჯერ ნაადრევია.ზარალის დათვლა-აღრიცხვა-მონიტორინგით სპეციალური კომისია დაკავდება, შემდეგ დაზარალებულებზე გაიცემა კომპენსაციებიც, მაგრამ ეს პრობლემის საბოლოოდ გადაჭრას ნამდვილად არ ნიშნავს.

როგორც პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი აღნიშნავს, ბოლო წლების განმავლობაში ანომალიურ მოვლენებთან გვაქვს საქმე, გურიასა და, განსაკუთრებით აჭარაში, ერთმანეთის მიყოლებით განმეორდა სტიქია, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული კლიმატის ცვლილებებთან.

ცაგარეიშვილის განმარტებით, გარდა ამისა, არსებობს ძალიან დიდი პრობლემა, ეს არის მდინარე ჭოროხზე აშენებული დემირელის კაშხალი, რომლის გამოც მდინარე ჭოროხიდან ნატანი შავ ზღვაში აღარ ჩაედინება. შედეგად, ნაპირის კონტურები შეცვლილია. ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება სჭირდება მთელ სანაპირო ზოლს სარფიდან ურეკამდე, რის საშუალებაც საქართველოს არ გააჩნია.

როგორც მწვანეთა პარტიის ლიდერი, გარემოს დაცვის კომიტეტის წევრი, გიორგი გაჩეჩილაძე განმარტავს, კლიმატის გაუარესების პროცესები მიმდინარეობს, როგორც გლობალური, ასევე საქართველოს მასშტაბითაც.

„შესაძლოა, კლიმატის ცვლილების სამიტზე როგორმე შეთანხმდნენ, რომ შეაჩერონ ეს პროცესები. ეს ყველაფერი გლობალურ დათბობას უკავშირდება. რა თქმა უნდა, ადგილობრივი პრობლემებიც არსებობს, რომელსაც მოგვარება სჭირდება, მაგრამ საერთო ტენდენციებია საკმაოდ რთული. საქართველოს ტერიტორიის 70% მოქცეულია სტიქიის არეალში – ვგულისხმობ მეწყრებს, ზვავებს და ა.შ. 3000-მდე დასახლებული პუნქტია ამ ტერიტორიაზე, რომელზეც 400 ათასი ოჯახი ცხოვრობს“, – აცხადებს გაჩეჩილაძე.

ცაგარეიშვილის განმარტებით, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ მოსახლეობის უსაფრთხოება დაცული იყოს, მაგრამ პროცესები საკმაოდ შორს არის წასული და დიდ ეკოლოგიურ კატასტროფებთან იქნება დაკავშირებული მომავალში.

გაჩეჩილაძის განმარტებით, ის მასშტაბები, რომელიც სტიქიამ მიიღო, საკმაოდ გაზრდილია – აღმოსავლეთ საქართველოში გვალვების პერიოდი გახანგრძლივდა 54-დან 74 დღემდე და თუ 15-20 წელიწადში ერთხელ მეორდებოდა, ახლა 6-7 წელიწადში ერთხელ მეორდება. ასევე მოიმატა ქარიშხლების ინტენსივობამ დაახლოებით 5-ჯერ.

„ნახეთ, შავ ზღვაზე 5-6-7- ბალიანი ღელვები იყო და ეს შტორმები სწორედ ამასთან არის დაკავშირებული და კიდევ უფრო ხშირად განმეორდება საქართველოში – დაახლოებით 3-ჯერ მოიმატებს ინტენსივობა. ზღვის დონე ყოველწლიურად 2 მმ-ით იზრდება, ზღვა წინ მოიწევს, ზღვის ტემპერატურა მატულობს, მეტი ტერიტორიები იტბორება და ა.შ. ნალექების რაოდენობა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში სერიოზულად გაიზარდა. აღმოსავლეთ საქართველოში კი არის მოლოდინი, რომ ნალექების რაოდენობა 14%-ით შემცირდება გარკვეული პერიოდის შემდეგ“, – აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.

მისივე განმარტებით, ამას ერთი გამგეობა და ერთი საკრებულო ვერ გადაწყვეტს, ამას სჭირდება კომპლექსური მიდგომა, რასაც აკეთებს მთელი მსოფლიო. ყველა ცივილიზებული ქვეყანა ადაპტაციის პროგრამებს ქმნის, რათა როგორმე გაუმკლავდეს სტიქიას. პროგნოზებს აკეთებს, თავის ქვეყანაში რა არის მოსალოდნელი, სად შეიძლება დამბების, დამცავი მექანიზმების მშენებლობა, ეს ყველაფერი გაწერილი უნდა იყოს და მისი შესრულება სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს.

გიორგი გაჩეჩილაძე: **„გარემოს დაცვის სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს ის კონვენციები, რაც მიღებულია - ეს საერთაშორისო ვალდებულებებია. გარდა ამისა, სამინისტრო ყოველწლიურად უნდა აქვეყნებდეს ეროვნულ შეტყობინებას, რომელშიც უნდა იყოს აღწერილი, რა არის მოსალოდნელი და რა ფინანსები სჭირდება ამ ყველაფრის მოგვარებას.**

საერთაშორისო ფონდები გაეროს დახმარებით ბოლო წლებში, აქტიურად არიან ჩართული ასეთი პროექტების დაფინანსებაში. მსოფლიო მასშტაბით ტრილიონზე მეტი დოლარია გათვალისწინებული. თუ ეს სამიტი ნორმალურად ჩაივლის, საქართველომ შეიძლება, რაღაც დახმარებაც მიიღოს ასეთი პროცესების რეგულირებისათვის. მარტო ფული არაფერს ნიშნავს, პროფესიონალიზმია საჭირო. ეს პროფესიონალიზმი ამ ხელისუფლების აქილევსის ქუსლია და ასე რატომ ხდება, დღემდე ვერ გავიგე“.

გაეროს 2012 წლის კვლევის მიხედვით, საქართველოში არასათანადო კედლები/სახურავები და იატაკები არსებული სახლების 42%-ს არ უვარგა, ანუ რისკის ქვეშ არიან. აღარაფერს ვიტყვით, მათზე, ვისაც საერთოდ არაფერი გააჩნია. ასეთი 8%-ია, დაახლოებით 85 ათასი ოჯახი. როგორც გაჩეჩილაძე განმარტავს როდესაც კლიმატური პირობები რთულდება და პლუს ასეთი მდგომარეობა გვაქვს, ბევრი უბედურება შეიძლება, მოხდეს.

ეკოლოგიურ ცვლილებებთან ერთად პრობლემას ქმნის საქართველოში არსებული მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურაც.

„საკანალიზაციო სისტემა აჭარაში მრავალი წლის მანძილზე არ გამოცვლილა, ხშირ შემთხვევაში ის ამორტიზებულია, კოლექტორები მძიმე მდგომარობაშია, ტალღებს უზარმაზარი რაოდენობით ქვიშაღორღი ამოაქვს და ქალაქის ინფრასტრუქტურას ანადგურებს“, – აცხადებს გია ცაგარეიშვილი.

ბათუმის საკანალიზაციო სისტემის მოსაწესრიგებლად უდიდესი თანხებია დახარჯული, როგორც სააკაშვილის, ასევე შევარდნაძის მმართველობის პერიოდშიც, თუმცა, პრობლემა ვერ მოგვარდა.

ცაგარეიშვილის განმარტებით, არსებობდა მსოფლიო ბანკის პროექტიც, რომლითაც მრავალი მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მაგრამ სად წავიდა თანხები, ეს კითხვა უფრო პროკურატურის მისამართით უნდა დაისვას.

გიორგი ცაგარეიშვილი: **„ნიშნისმოგებით არ ვსაუბრობ და ვინმეს ციხეში ჩაყუდება ნამდვილად არ მაინტერესებს, მაგრამ სად წავიდა, რა გაკეთდა, ეს, რა თქმა უნდა, გასარკვევია. თუმცა, ჩვენ ჩვენი საქმით უნდა დავკავდეთ და ბათუმში სარემონტო სამუშაოები გავაგძელოთ, თუ გვინდა, რომ ეს ქალაქი მართლაც ტურიზმის ცენტრად გადაიქცეს. ყოველწლიურად ახალი სასტუმროები შედის ექსპლოატაციაში და ამას შესაბამისი ინფრასტრუქტურა უნდა დავახვედროთ, ანუ ის, რაც ჩვენ, ხელისუფლებას გვევალება. წინა ხელისუფლების დროს ისე შენდებოდა სასტუმროები, რომ არავინ კითხულობდა საკანალიზაციო-საკოლექტორო სიტუაცია რამდენად იყო გამართული, გაუძლებდა თუ არა ამ დატვირთვას. უზარმაზარი სასტუმროებია მიერთებული ძველ კანალიზაციას, ისე, რომ გამტარიანობა არავის შეუმოწმებია. ეს ყველაფერი ერთად აღებული, აჭარის შავიზღვისპირეთში, რა თქმა უნდა, ამძიმებს ეკოლოგურ და სანიტარულ ფონს“.**

> **„ცალკე პრობლემაა მთელი საქართველოს მასშტაბით საკანალიზაციო სისტემა, ბათუმის სანიაღვრე სისტემას ხომ საერთოდ არ ეშველა. მილიონობით თანხა ჩაიყარა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაითვალეს მოსალოდნელ ნალექებზე. ფოთში ხომ საერთოდ, ტრაგედია ტრიალებს. ქობულეთს გამწმენდი მოწყობილობა არა აქვს, რაღაც მოძველებული კომუნისტებისდროინდელი დანგრეული ნაგებობაა, რომელშიც მარტო ქობულეთის კი არა, მთელი გურიის კანალიზაცია ჩაედინება და შავ ზღვაში ჩადის“, – აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.**

აჭარის გარდა ანალოგიური პრობლემები მთელ შავიზღვისპირეთშია – საპორტო ქალაქად წოდებულ ფოთს, 21-ე საუკუნეში, საერთოდ არ აქვს საკანალიზაციო სისტემა. მაშინ როდესაც, მე-19 საუკუნის 50-60-იან წლებში მსგავსი პრობლემა წარმატებით გადაჭრეს დიდ ბრიტანეთში, რომ აღარაფერი ვთქვათ ძველ რომზე, სადაც საპირფარეშოები და საკანალიზაციო სისტემა კარგად იყო განვითარებული და ერთ-ერთ უძველეს საინჟინრო მოწყობილობად ითვლება „კლოაკა მაქსიმა“.

აი, რას ვკითხულობთ ფოთის ადგილობრივ მედიაში მიმდინარე წლის დასაწყისში: **„ქალაქში ბევრია ისეთი საცხოვრებელი კორპუსი, სადაც სარდაფები და ეზოები ფეკალური მასებით, გამდინარე წყლით და სიბინძურით არის სავსე. მაგალითად, კოსტავას ქუჩაზე წლებია, რაც ეზოებიდან გამოსული სიბინძურე ქუჩასა და ტროტუარებზე გადადის, სამწუხაროდ ასეთ სურათს არაერთგან შეხვდებით ფოთში“.**

გია ცაგარეიშვილის განმარტებით, ინფრასტრუქტურული პროექტების განვითრება საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა.

„როგორც ვიცი, აზიის განვითარების ბანკთან არის გაფორმებული საკმაოდ მოცულობითი ხელშეკრულება და ამ მიმართულებით ძალიან მალე უამრავი პროექტი უნდა განხორციელდეს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, თუმცა, ფოთი გათვალისწინებულია თუ არა ამ პროექტში, არ მაქვს ინფორმაცია“, – აცხადებს გიორგი ცაგარეიშვილი.

გიორგი გაჩეჩილაძის განმარტებით, როდესაც კომუნისტების დროს ფოთში რიონის კასკადი აშენდა, მას შემდეგ დაიწყო კატასტროფა, უკვე ზღვაშია მოქცეული ფოთის სასაფლაო, იპოდრომი, რამდენიმე დასახლებული პუნქტი, და ა.შ. კილომეტრნახევრით არის ზღვა გადმოწეული, იგივე მდგომარეობაა ანაკლიაში და იგივე ემუქრება აჭარის ზოლს დემირელის კაშხლის აშენების გამო. უკვე ორი სოფელია დატბორილი და ეს პროცესები გაგრძელდება. როგორც გაჩეჩილაძე აცხადებს, ძალიან დიდი თანხებია საჭირო იმისათვის, რომ ეს როგორმე შეაჩერო.

„ცალკე პრობლემაა მთელი საქართველოს მასშტაბით საკანალიზაციო სისტემა, ბათუმის სანიაღვრე სისტემას ხომ საერთოდ არ ეშველა. მილიონობით თანხა ჩაიყარა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაითვალეს მოსალოდნელ ნალექებზე. ფოთში ხომ საერთოდ, ტრაგედია ტრიალებს. ქობულეთს გამწმენდი მოწყობილობა არა აქვს, რაღაც მოძველებული კომუნისტებისდროინდელი დანგრეული ნაგებობაა, რომელშიც მარტო ქობულეთის კი არა, მთელი გურიის კანალიზაცია ჩაედინება და შავ ზღვაში ჩადის“, – აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.

ვერც გარემოს დაცვის, ვერც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტროსთან დაკავშირება ვერ შევძელით. როგორც შევიტყვეთ, სტიქიასთან ბრძოლით არიან დაკავებულები. ასევე მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომ უკვე შექმნილია ფოთში საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის პროექტი, რომელიც 2015 წლიდან დაიწყება და 2018 წლამდე გასტანს. პროექტის ფარგლებში, მიწის გრუნტში ჩაიდება 153 კილომეტრი სიგრძის თვითმდენი და 21 კილომეტრის წნევიანი მილი, ქალაქის ორივე მიმართულებაზე – სამხრეთით და ჩრდილოეთით იმუშავებს 23 სატუმბი სადგური სველი და მშრალი ტუმბოებით, ამოქმედდება გამწმენდი ნაგებობა 84.000 კუბური მეტრის სიმძლავრით, რომელსაც ორი დამატებითი გამწმენდი ობიექტი ექნება.

რაც შეეხება ბათუმს, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის პროექტი უკვე დამტკიცებულია, გამოვლენილია გამარჯვებული ფირმა – გერმანული სამშენებლო კომპანია, გამოყოფილია თანხაც. გერმანიის განვითარების ბანკის თანადაფინანსებით ხდება მისი განხორციელება, 17 მილიონი ევროა გამოყოფილი იმისათვის, რომ მოწესრიგდეს ჭაობის დასახლებაში საკანალიზაციო სისტემა, რაც მთელ ქალაქს უქმნის პრობლემას და როგორც ბათუმის ვიცე-მერი ადგილობრივ მედიასთან საუბრისას განმარტავს, „საუკუნის პროექტი შეიძლება ეწოდოს ამ პროექტის განხორციელებას ჟილინის არხთან ერთად“.

მისივე განმარტებით, არსებობს სხვა პროექტიც – ბათუმში ორ ადგილას მოეწყობა სატუმბი სადგურები. ამ სადგურებიდან, რომლებიც სანიაღვრე სისტემასთან იქნება მიერთებული, მოხდება გადატუმბვა ზღვაში, დაახლოებით 900 მეტრი სიგრძის მილები ჩავა ზღვაში. ძლიერი წვიმის შემთხვევაშიც, სანიაღვრე არხები შეძლებენ წყლის მასის გატარებას და პრობლემა არ შეიქმნება. პროექტის განხორციელება წელს დაიწყება და 2015 წლის ბოლომდე დასრულდება და ეს ორი პროექტი, გახდება გარანტი, რომ ბათუმი აღარ დაიტბორება.

გიორგი გაჩეჩილაძის განმარტებით, ამ პრობლემების მოგვარება შესაძლებელია, მაგრამ დიდი თანხები და სერიოზული პროფესიონალები სჭირდება, როგორც საინჟინრო თვალსაზრისით, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის სახით, რადგან ეს პასუხისმგებლობა კანონმდებლობის მიხედვით უკვე მათ აკისრიათ. რაც შეეხება თანხებს, როგორც გაჩეჩილაძე აღნიშნავს, მისი მოძიება შესაძლებელია, სწორედ ამ სამიტებიდან და საერთაშორისო კონვენციებიდან.

როგორც ჩანს, ხელისუფლება მართლაც გეგმავს ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრას, თუმცა, მსგავსი დაპირებები არაერთი ხელისუფლებისგან მოგვისმენია. მდგომარეობა კი დღითი დღე საგანგაშო ხდება.

მარიამ თოდაძე

ღატაკი ქვეყნის მდიდარი ბანკები

ვიდრე ჩვენებური ბანკების სიმდიდრეზე რამეს ვიტყოდე, არ შემიძლია არ გავიხსენო მსოფლიოში უდიდეს დემოკრატებად აღიარებული ქართველი ნაცების მიერ მშობლიური ქვეყნის დასამონებლად განწირული საკუთარი ხალხის „ძლევაი საკვირველი“. სწორედ ამ „ძლევის“ წყალობით შეძლეს მათ, რეკორდულად მოკლე პერიოდში, სტრატეგიული პარტნიორი ევროპა-ამერიკისა და ერთმორწმუნე რუსეთის მეთაურთა „დახმარებით“, დაეკარგათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მიწასთან გაესწოროებინათ საქართველოს ეკონომიკა, დაემშიათ ხალხი და „დაეცოცხათ“ მათი უფლებრივი თავისუფლება. ამ ფონზე, რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ერთადერთი, ვინც ნაცების ცოცხსა და დაყაჩაღებას გადაურჩა (ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანს), იყო ქვეყნის საბანკო სისტემა, რომელიც იქიდან მოყოლებული დღემდე ზემოგებით მუშაობს.

კიდევ გავიმეორებ, ერთადერთი, რომელმაც წინა ხელისუფლების მძარცველური რეჟიმის პირობებში დიდძალი სიმდიდრე დააგროვა, ხალხის არჩევანით დემოკრატიულად გაგდებული სააკაშვილის ნაცბანდა და კომერციული ბანკები. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ „კოალიციური მთავრობის“ ახალგამომცხვარი მინისტრები და მათი მოადგილეები, რომელთაც „სუფრა“ ერთიანად შეჭმულ-დაცარიელებული დახვდათ, ხელის გასამართად და მსხვილ-მსხვილი სესხების დასათრევად უმალ ბანკებს მიადგნენ.

ბანკების მიერ დაკრედიტებული მინისტრებისა და სამინისტროების მუშაკთა ჩამონათვალს რა გაზეთი დაიტევს, მაგრამ შევეცდები, ზოგი მათგანის გასაჭირი მაინც გაგაცნოთ. **აი, თუნდაც სოფლის მეურნეობის ახლახან დანიშნული მინისტრის ოთარ დანელიასი, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მონაცემებით, წლეულს მარტში 200 000 დოლარის იპოთეკური, ასევე, სხვადასხვა პერიოდში, 70 000 აშშ დოლარისა და 42 500 ლარის ოდენობის სესხი აუღია. მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილზე, 2014 წელს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, 164000 აშშ დოლარის სესხია რეგისტრირებული, მის მეუღლეზე კი ჯამში 195 000 აშშ დოლარი. ამ სესხების ყოველთვიური გადასახადი თვეში დაახლოებით 9 185 ლარია, რაც მინისტრის მოადგილის ყოველთვიურ ხელფასს სამჯერ აღემატება(!). უკეთეს დღეში არც სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილია, რომლის სახელზეც 275 000 სესხია რეგისტრირებული. ამ რაოდენობის სესხზე ყოველთვიური გადასახდელი დაახლოებით 3500 ლარია, რაც მისი თვიური ანაზღაურების 118 პროცენტია.**

რა თქმა უნდა, ძნელია, წინასწარ ვივარაუდოთ, რა მოგებას გამოკრავენ ხელს კომერციული ბანკები მარტო სახელმწიფოს მსხვილ-მსხვილი ჩინოვნიკების მსხვილ-მსხვილი კრედიტებიდან მიღებული შემოსავლებით ან სესხების გადაუხდელობის შემთხვევაში ამ უკანასკნელთა ქონების დაყადაღება-გაყიდვით (ასეთ მონაცემებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ჯერ-ჯერობით ვერ იძლევა), მაგრამ წინა მთავრობის გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, მსგავს აღებ-მიცემობაში ჩართული მხარეები არც თუ ურიგო „ნადავლს“ უნდა ელოდნენ. სხვა თუ არაფერი, განა ნაციონალმა მიშისტებმა ფინანსური ხელმოკლეობიდან გამოძრომა მსგავსი სესხებით არ დაიწყეს?!.

მინისტრებისა და მათი მოადგილეების სასესხო ვალდებულებებთან შედარებით პენსიონერთა გასაჭირი აქ რა მოსატანია, მაგრამ, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, მკითხველს გავაცნო ჩემს ძველ მეგობარ ვასო ფხალაძესთან გამართული საუბრის შინაარსი, რომელსაც ამ ორი დღის წინათ შემთხვევით ვაკის პარკში გადავეყარე. ბესო ასაკთან შედარებით უფრო მოტეხილი მეჩვენა, მაგრამ არ ვაგრძნობინე.

— მშვენივრად გამოიყურები, — შევაგებე, — ეგ თბილი ქურთუკი რომ არა, პენსიონრობას ვერავინ დაგწამებდა.

— აბა, მაისურით ხომ არ ვივლი, შე კაცო, — ჩაეღიმა ულვაშებში, — წლევანდელმა შემოდგომამ ისე ნაადრევად აურია, მზე კიდევ როდის გამოაჭყეტავს, არავინ უწყის. ეჰ, უამინდობას კიდევ გაუძლებს კაცი, მაგრამ ამ ცხოვრებისეულ ყიამეთს რას უშვრები?

— არ თქვა ახლა, ვასო, მთავრობას ვემდურიო, თორემ გავგიჟდები კაცი. შე ყურუმსაღო, ეს მთავრობა არ იყო, შარშან სექტემბერში პენსია რომ გაგიზარდა?

— გამიზარდა, ჰო, გამიზარდა, — გამოსცრა კბილებში, — იმდენს მაძლევს, აღარ ვიცი, რაში დავხარჯო. ჰოდა, თავგზა რომ არ ამებნეს, „ლიბერთი ბანკმა“ დახმარება შემომთავაზა.

— რა დახმარება? — დავინტერესდი, — თუ ხელს გამომიწვდის, იქნებ მეც გამოვიყენო?

— რატომაც არა, ჩემსავით პენსია თუ არც ჭამაში გყოფნის და არც წამლებში, დაუტოვე ბანკს 3 ლარი და ერთი თვის პენსიას წინასწარ მოგცემენ.

— აგაშენა ღმერთმა, — ჩამოვართვი ხელი, — წინასწარ თუ მომცემენ, ერთბაშად 3 თვის პენსიაზეც არ ვიტყვი უარს. შარშან ზამთარს დენის და გაზის იმხელა გადასახადი მომივიდა, აღარ ვიცოდი, ფულის სასესხებლად ვისთან გავქცეულიყავი.

— მაგრამ არც მასეა საქმე, შენ რომ ავანსად გამხიარულდი, — მომიჭრა ვასომ, — იმ ბანკმა თავადაც ხეირი თუ არ ნახა, ჩემო ძმაო, მარტო შენი გაჭირვების გამო, ტყუილუბრალოდ რატო გაირჯება?

— რატო ტყუილუბრალოდ, მე ხომ წინასწარ აღებული ყოველი თვის პენსიაში 3 ლარს ვუტოვებ?

— კი აბა, 3 ლარად მოგართმევენ. მე ერთ თვეზე გითხარი 3 ლარი, თორემ თვეების მატებასთან ერთად, ბანკი, შესაბამისად, გადასახადის პროცენტსაც ზრდის. დაგიანგარიშებენ და, მაგალითად, თუ 5 თვის პენსიას ერთბაშად აიღებ, დაახლოებით ერთი თვის პენსიას, ბანკის მომსახურების საფასურად დაგატოვებინებენ.

— ეგ უკვე უნამუსობა და მსუნაგობაა, — ავპილპილდი მე, — განა მასეთი რა მომსახურება უნდა გამიწიონ, რომ გაჭირვებულ პენსიონერს, რომელსაც წამლის ფულიც არ გააჩნია, ამხელა თანხა წამგლიჯონ?

აბა რა უნდა ელაპარაკო ამათ, გავაგრძელე ფიქრი ბესოსთან დამშვიდობების შემდეგ, პენსიონერს რომ თავისივე პენსიას სესხად მისცემენ და მერე იქიდან პროცენტს ააფცქვნიან, ასეთი ბანკებისგან რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ?!

ალბათ პენსიონერისთვის მეხსიერების ნიშანდობლივ დაქვეითებად ჩამეთვლება (ამას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ!), თუ კომერციული ბანკების სიმსუნაგესთან დაკავშირებით არ გავიხსენებ იმ პერიოდს, როცა მოსახლეობა დენის, გაზისა და წყლის დანახარჯის საფასურს ამავე დარგების კომპანიების მიერ გამოყოფილ სპეციალურ პუნქტებში იხდიდა ზუსტად იმდენს, რამდენსაც ხარჯავდა და საპრეტენზიოც არაფერი ჰქონდა. მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე „რვოლუციური რეფორმების“ კვალობაზე, ხსენებულმა კომპანიებმა მოსახლეობისგან გადასახადის აკრეფის ეს „არქაული ტვირთი“ თავად ჩამოიხსნეს და კომერციულ ბანკებს გადაულოცეს, თქვენ დიდი თავი გაბიათ და ტირილი მოგიხდებათო. თავიდან ბანკები „უცრემლოდ“ ასრულებდნენ ამ მოვალეობას, მაგრამ შემდეგ გზადაგზა „გონს მოეგნენ“ და გაჭირვებულ მოსახლეობას, რომელიც გადასახადისგან ისედაც წელში წყდებოდა, მომსახურების სანაცვლოდ საკომისიო გადასახადი დაუწესეს.

რამდენი, არ იკითხავთ? თავიდან ყველა სახეობის (დენი, გაზი, წყალი, ნაგავი) გადასახადზე ერთად აღებულ 50 თეთრს ახდევინებდნენ, მაგრამ შემდეგ მადა გაუღვივდათ და ეს 50 თეთრი ყველა ამ გადასახადზე სათითაოდ სავალდებულო გახადეს. იყო პერიოდი, როცა ცალკეული ბანკები „მორცხვობდნენ“ და მომხმარებელს მომსახურებისთვის არაფერს ახდევინებდნენ, მაგრამ ბოლოს სიმსუნაგემ ყველაფერს სძლია და ხარკი მომსახურებისთვის ყველგან სავალდებულო გახადეს.

დღეს კომერციული ბანკები საქართველოში ხელიდან არ უშვებენ რაც შეიძლება მეტი სარგებლის მიღების ისეთ შანსს, როგორიც გახლავთ საბანკო მარჟა. ისინი უღმერთოდ ატყავებენ მოსახლეობას ვალუტის გადახურდავებისას, ან, გნებავთ სესხის გასტუმრებისას. საქმე ის არის, რომ ბევრს შემოსავლები ეროვნულ ვალუტაში აქვს და სესხის გასტუმრების დროს ფულის კონვერტაცია უწევს. ბანკები სარგებლობენ ამით და მას დაბალი საგადამცვლელო კურსით გარკვეულ თანხას აკარგვინებენ. ბანკებს შორის ვალუტის ყველაზე დაბალი საგადამცვლელო კურსი „საქართველოს ბანკშია“, სადაც 1 დოლარში ხალისით გადაგიხდიან, ვთქვათ, 1,72 ლარს, მაგრამ იმავე მომენტისთვის თუ გაყიდით, უფრო მეტი ხალისით გადაგახდევინებენ 1,76 ლარს(!). ბანკებთან შედარებით ამ მხრივ გაცილებით ხელსაყრელი პირობებია ვალუტის გადამცვლელ ეგრეთ წოდებულ ჯიხურებში, მაგრამ, ეტყობა, ესეც თავისებური საბანკო პრიორიტეტია!

კომერციული ბანკები სათავისოდ შესანიშნავად იყენებენ ასევე კანონით მინიჭებულ უფლებას — საკუთარი სააქციო კაპიტალის 50 პროცენტი განათავსონ არაპროფილურ ბიზნესში. **რა დასამალია, მას შემდეგ, რაც ბანკებს ამ კანონით ხელფეხი გაეხსნათ, დაიწყო მათ მიერ ბიზნესის ანექსია. დღეს ბანკები ფლობენ სადაზღვევო კომპანიებს, სამშენებლო და სამედიცინო დაწესებულებებს, ღვინის კომპანიებს, ტურისტულ სააგენტოებს, ფიტნეს-კლუბებს და კიდევ რას აღარ. ამის შემდეგ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ბანკმა კრედიტის გაცემისას პრიორიტეტი მიანიჭოს საკუთარ კომპანიას (ფაქტობრივად ეს ასეც ხდება) და არა კონკურენტს, რომელიც მიდის ბანკში სესხის ასაღებად.**

აღარაფერს ვამბობ ბანკების მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო განაკვეთების თაობაზე (საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებშიც საბანკო კრედიტების საპროცენტო განაკვეთები ყველაზე მაღალია) და აქედან გამომდინარე, იმ მძიმე ურთიერთობაზე, რაც ბანკებსა და კრედიტორებს შორის იქმნება. ლაპარაკია, უპირველეს ყოვლისა, ბანკების მიერ მომხმარებლებთან დადებულ ხელშეკრულებებზე, რომლებიც კაბალურია. კლიენტი მოკლებულია შესაძლებლობას, თავის პოზიცია ხელშეკრულებაში შეიტანოს, ვინაიდან ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას დომინანტი მხოლოდ ბანკის ინტერესია. **საკრედიტო ვადის გასვლის დროს ბანკები არ ითვალისწინებენ: კეთილსინდისიერი გადამხდელია თუ არა მომხმარებელი, გააჩნია თუ არა მას მუდმივი შემოსავლის წყარო, ვადაგადაცილება სისტემატურია თუ ერთჯერადი, გადაცილება განპირობებულია ობიექტური თუ სუბიექტური მდგომარეობით და სხვა. ყველა ეს ფაქტორი იგნორირებულია, რაც კრედიტორს კაბალურ მდგომარეობაში აყენებს.** ბანკების მხრიდან ასეთი უჯიათობის მსხვერპლია დღეს ათეულ ათასობით იპოთეკური სესხის მქონე მოსახლეობა, რომლითაც ვალის გადაუხდელობის გამო უბინაოდ დარჩენის საშიშროება ემუქრებათ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება მოსახლეობას საბანკო სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარებას შეპირდა, დღემდე სასიკეთო ნაბიჯები არ გადადგმულა.

ასეთ პირობებში კომერციული ბანკები რაღა თქმა უნდა, მშვიდად აგრძელებენ ზემოგებაზე მუშაობას და კრედიტორებთან (მათ შორის, ალბათ, ზემოთ ნახსენებ მინისტრ კრედიტორებთანაც) დადებული კაბალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების ამოქაჩვას. „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ ამ დღეებში გავრცელებულ ინფორმაციას თუ დავუჯერებთ, მარტო წლეულს პირველ კვარტალში კომერციული ბანკების მიერ ამოღებულმა მოგებამ 85 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა!

ღმერთმა ხელი მოუმართოთ. კომერციული ბანკები იმისთვის არსებობენ, რომ კრედიტები გასცენ და იქიდან ამოღებული მოგებით თავიც ასარგებლონ და ქვეყანაც, მაგრამ არა ისე, რომ ამან ბიზნესიც აზარალოს და მოსახლეობაც. მახსოვს, ჯერ კიდევ გაზაფხულზე, ქვეყნის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ საქართველოში კრედიტებზე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთებია და საბანკო სექტორს, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ლოკომოტივი უწოდა. ბანკები დღეს „ლოკომოტივია“ თუ „მუხრუჭი“, ეს ჯერ კიდევ საკითხავია.

ოთარ ხუციშვილი

◎ ალიანჩალიანი

სადაზღვევო ორგანიზაციები სააქციო საზოგადოებად უნდა ჩამოყალიბდნენ

სადაზღვევო ორგანიზაციებს, რომელთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, სტატუსის შეცვლა და სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბება მოუწევთ. აღნიშნული 2015 წლის 1 ივლისამდე უნდა განხორციელდეს.

სადაზღვევო სფეროში ამ და სხვა მიმართულებით მთელი რიგი საკანონმდებლო ნორმები იცვლება, რომელიც განსახილველად პარლამენტს უკვე წარედგინა.

„დაზღვევის შესახებ“ მოქმედი კანონის გათვალისწინებით, მზღვეველი შესაძლებელია არსებობდეს ორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების სახით. პარლამენტში წარდგენილი პროექტის თანახმად კი, სადაზღვევო ორგანიზაციები შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების სახით. აღნიშნული მოთხოვნა გავრცელდება ახლად შექმნილ მზღვეველებზე კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, ხოლო დღეს არსებულმა იმ მზღვეველებმა, რომელთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, აღნიშნული მოთხოვნა 2015 წლის 1 ივლისამდე უნდა დააკმაყოფილონ.

როგორც კანონპროექტის თანდართულ განმარტებით ბარათშია ნათქვამი, ცვლილების არსი საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

უკრაინის მოვლენების ფონზე, რომელიც რუსეთისა და დასავლეთის კონფრონტაციითაა გამოწვეული, სულ უფრო მეტი რისკია იმისა, რომ სიტუაცია საქართველოშიც გამწვავდეს. ისევე როგორც უკრაინაში, საქართველოშიც აშკარაა, რომ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ეთნიკური ჯგუფების ერთმანეთთან კონკურირება დაკავშირებულია რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირებასთან. თუ დიალოგი არ იქნება, კონფლიქტი საქართველოშიც შეიძლება დაიწყოს. ეს ძალიან ცუდ გავლენას მოახდენს რეგიონულ უსაფრთხოებაზე, ამიტომ სიტუაციას ყურადღება უნდა მიექცეს, — წერს ამერიკულ გამოცემა „ნეიშენში“ აშშ-ის მიჩიგანის უნივერსიტეტის ასპირანტი პიეტრო შაძარიანი.

„ჯი-ეიჩ-ენი“ სტატიის მოკლე შინაარსს გთავაზობთ:

THE NATION:
უკრაინის შემდეგ - საქართველო?!

საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის მნიშვნელოვან სტრატეგიულ გზაჯვარედინზე მდებარეობს. აშშ-სათვის საქართველო ის ტერიტორიაა, რომელზეც ცენტრალური აზიისა და კასპიის ენერგიის სატრანზიტო მილსადენებია განლაგებული, რუსეთისათვის კი — ყოფილი საბჭოთა ტერიტორია, რომელსაც მოსკოვი თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილავს და ერთმორწმუნე ქრისტიანული ქვეყანა, რომელთანაც ფართო ისტორიული და ტრადიციული ურთიერთობები აკავშირებს.

2003 წელს საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შედეგად პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება დაემხო და მის ნაცვლად ქვეყნის მეთაურის პოსტზე აშშ-ში განათლებამიღებული, პროდასავლური მიხეილ სააკაშვილი აირჩიეს. იგი მიისწრაფოდა, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი გამხდარიყო, გამოირჩეოდა მკვეთრი ანტირუსული რიტორიკით. მოსკოვთან თბილისის ურთიერთობა სწრაფად უარესდებოდა, რამაც 2008 წლის აგვისტოში სამხედრო კონფლიქტი გამოიწვია. საქართველომ თავისი ჯარები შეიყვანა სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში, რომელსაც რუსი მშვიდობისმყოფლები იცავდნენ. ამის საპასუხოდ რუსეთმა კონტრშეტევა განახორციელა, ქართველებს უკან დაახევინა და აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. მიხეილ სააკაშვილმა რუსეთთან დიპურთიერთობა გაწყვიტა, რომელიც დღემდე აღდგენილი არ არის.

საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომი ერთგვარი პრელუდია იყო რუსეთ-უკრაინის კონფლიქტისათვის. აქაც და იქაც საკითხი ეხება ნატოს გაფართოებას და აშშ-ის მცდელობებს რეგიონზე გავლენის მოხდენის მიზნით. ორივე შემთხვევაში მოსკოვისადმი ანტაგონისტურად განწყობილმა უკრაინისა და საქართველოს პროდასავლურმა ხელისუფლებებმა ხელი შეუწყვეს ხანძრის გაღვივებას, მოსკოვიც, თავის მხრივ, მტკიცედ იდგა თავისი ინტერესების დაცვის სადარაჯოზე.

საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება 2008 წელს რუსეთთან მომხდარი კონფლიქტის შემდეგ თანდათან სუსტდებოდა. 2012 წლის ოქტომბერში მმართველმა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ საპარლამენტო არჩევნები წააგო, ხელისუფლებაში მოვიდა კოალიცია „ქართული ოცნება“, ქარიზმული მილიარდერის ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით. ბიძინა ივანიშვილის გამარჯვება საქართველოსთვის ახალი ეპოქის დადგომას მოასწავებდა. ამას მოწმობდა მისი გაწონასწორებული მოქმედება და პრაგმატიზმი, მიხეილ სააკაშვილის ემოციური ხასიათისაგან განსხვავებით.

ბიძინა ივანიშვილი არ იყო არც პრორუსული და არც პროდასავლური ლიდერი. მან კარგად გააცნობიერა რუსეთთან ურთიერთობის სიკეთე და განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებდა რუსეთთან ურთიერთობის აღსადგენად, დიპლომატიურის ჩათვლით. იგი ასევე ეძებდა სეპარატისტულ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან შეხების წერტილებს, დაუშვა აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის შესაძლებლობა. იგი თანახმა იყო ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავებაზეც, ფიქრობდა აფხაზებთან და ოსებთან მშვიდობიან მოლაპარაკებაზეც, არ გამორიცხავდა ევრაზიულ კავშირში შესვლასაც.

ამასთან, ბიძინა ივანიშვილის რეფორმისტული განწყობებისა და მისი პოლიტიკური სტატუსის მიუხედავად, იგი მაინც შეზღუდული იყო სიტუაციის მკვეთრად შეცვლის საკითხში, რადგან მიხეილ სააკაშვილი ისევ სახელმწიფოს მეთაურად რჩებოდა. 2013 წელს კი, როცა მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტიდან წავიდა, ბიძინა ივანიშვილმა, პრემიერ-მინისტრობიდან თავის გადადგომამდე, ხელისუფლებაში ორი თავისი კანდიდატი მოიყვანა: პრეზიდენტად — ფილოსოფოსი და ბონვივანი („კარგი ცხოვრების მოყვარული“) გიორგი მარგველაშვილი და პრემიერად — 31 წლის ახალგაზრდა ირაკლი ღარიბაშვილი. გაჩნდა იმედი, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა საბოლოოდ აღდგებოდა. ამ იმედების განხორციელებისათვის „ვარსკვლავური საათი“ სოჭის ოლიმპიური თამაშების დროს დადგა, როცა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავისი ქართველი კოლეგა გიორგი მარგველაშვილი პირადად მიიწვია პირისპირ შეხვედრაზე, თუმცა, იმ დროს ყველას ყურადღება კიევის „მაიდნისკენ“ იყო მიპყრობილი და შეხვედრის სურვილი განუხორციელებლი დარჩა.

რამდენადაც უკრაინის კრიზისი სულ უფრო ღრმავდებოდა, იმდენად აშშ და ევროკავშირი სულ უფრო მეტ ძალისხმევას ახმარდნენ თავიანთი გეოპოლიტიკური გავლენის გაძლიერებას პოსტსაბჭოთა სივრცეში: ამერიკელი ჩინოვნიკები ხაზს უსვამდნენ საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციის მნიშვნელობას და სულ უფრო მეტ მხარდაჭერას პირდებოდნენ თბილისს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში, ევროკავშირმა ასოცირების შეთანხმებით ხელმოწერაც კი დააჩქარა და ამ მიზნით ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პრომოსკოვური ლიდერი ევროკავშირის სიკეთეში დაარწმუნა. რადგან საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობდა, რუსეთმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია დასავლეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

იყო შიდაპოლიტიკური პრობლემებიც: **მმართველ კოალიციაში შეიქმნა ორი დაჯგუფება — „პრაგმატისტების“ (პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გუნდი) და „ქორების“ (პარლამენტის სპიკერის დავით უსუფაშვილის მხარდამჭერები) იმასთან მიმართებით, თუ როგორი ურთიერთობა უნდა ყოფილიყო რუსეთთან. უთანხმოება დაიწყო თვით პრაგმატისტების ბანაკშიც — ირაკლი ღარიბაშვილსა და გიორგი მარგველაშვილს შორის. მიზეზი ის გახდა, თუ ვინ უნდა შეხვედროდა ვლადიმერ პუტინს - პრემიერ-მინისტრი თუ პრეზიდენტი, აგრეთვე ვის უნდა მოეწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე. მათ შორის, დაპირისპირება დღესაც გრძელდება,** რომელიც გაეროს გენასამბლეაზე წასვლა-არწასვლის საკითხშიც გამოიხატა. ორივე ცდილობდა ნიუ-იორკში გამგზავრებას, საბოლოოდ კი პრეზიდენტმა პოზიციები დათმო. ნიშანდობლივია, რომ ბიძინა ივანიშვილმა გიორგი მარგველაშვილის კრიტიკა დაიწყო.

ყოფილმა პრემიერმა ამას წინათ გაზეთ „კვირის პალიტრასათვის“ მიცემულ ინტერვიუში უკრაინის კრიზისზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ რუსეთი უკან არ დაიხევს: „საშინელებაა ის, რაც იქ ხდება, პირადად მე მხარს ვუჭერ უკრაინას და მშვიდობის აღდგენას“.

უკრაინის საკითხში ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის პოზიცია განსხვავდება ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოზიციისაგან, რომელიც თავიდანვე კიევის ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერი და პოსტ-მაიდნური მთავრობის არაოფიციალური მრჩეველიც კი იყო. საქართველოს ექს-ლიდერის უკრაინულ მოვლენებში მონაწილეობამ როგორც რუსეთში, ასევე აფხაზეთსა და სომხეთში უარყოფითი რექცია გამოიწვია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა პეტრო პოროშენკოს მრჩეველად მიხეილ სააკაშვილის მიწვევის ფაქტი დაგმო, ხოლო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უკრაინის პრეზიდენტს „მეგობრული რჩევა“ მისცა „საკაშვილი გვერდით არ გაიკაროს“. საბოლოოდ, პოროშენკომ მრჩეველად საკაშვილის თანამოაზრე კახა ბენდუქიძე დანიშნა.

ამჟამად მიხეილ სააკაშვილი „ნებაყოფლობითი დევნილია“ და ნიუ-იორკში, ბრუკლინში ცხოვრობს, საქართველოში კი ძებნილის სტატუსი აქვს.... მას სისხლის სამართლის ბრალდებები აქვს წაყენებული თანამდებობის ბოროტად სარგებლობისა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის მუხლებით... იგი ამ ბრალდებებს უარყოფს. გარდა ამისა, ჯერ კიდევ აპრილში და ახლაც ექს-პრეზიდენტი საქართველოში დესტაბილიზაციის შექმნის მომზადებაში დაადანაშაულეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიხეილ სააკაშვილის პოპულარობა უკიდურესად დაბალია და მის რეჟიმს ბრალი მრავალი დანაშაულის ჩადენაში მიუძღვის, უცხოელი პოლიტიკოსები მის დაცვას მაინც ცდილობენ, მაგალითად, ამერიკელი სენატორები, რომლებმაც საქართველოს ხელისუფლების მოქმედების გამო „შეშფოთება გამოხატეს“ და „ექს-პრეზიდენტის სამართლებრივი დევნა „პოლიტიკურ შურისძიებად“ შეაფასეს. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მათ ასეთი პასუხი გასცა: „არავის არ აქვს უფლება, რომ ჩვენგან რომის პაპზე მეტი კათოლიკობა მოითხოვოს“.

დედამიწის ზურგზე

უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისია ამთავრებს უმაღლესი რადის დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციას

450 სადეპუტატო ადგილზე პრეტენზიას აცხადებს სულ ცოტა 5 100 კაცი. პრეტენდენტებს შორის არიან — უკრაინის პრეზიდენტის პიოტრ პოროშენკოს ბლოკი, რადიკალები და ნაციონალისტები. დონბასში არჩევნებზე ერთმანეთს შეეტაკებიან ქარხნების მფლობელები. პოროშენკოს ბლოკს კი ბრალს სდებენ „შერწყმაში“.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სახმელეთო ოპერაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით, დაიანგარიშეს, თუ რა ღირს ომი „ისლამურ სახელმწიფოსთან“

„ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლისათვის ვაშინგტონმა უკვე დახარჯა დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარი. მომავალში სირიასა და ერაყში ტერორისტებთან ერთი თვის ბრძოლა ეღირება 570 მილიონამდე დოლარი. პენტაგონში არ გამორიცხავენ, რომ ბრძოლა შეიძლება წლობით გაგრძელდეს.

* * *

უცნობი ობიექტი კვლავ გამოჩნდა სატურნის უდიდეს თანამგზავრზე — ამჯერად ის სხვა ფორმისა და მოცულობისაა



კოსმოსურმა აპარატმა „კასინი“, რომელიც სატურნს იკვლევს, კვლავ აღმოაჩინა თითქოსდა დაკარგული უცნობი ობიექტი, სატურნის უდიდესი თანამგზავრის — ტიტანის ლიგეის ზღვაში. „კუნძული“ პირველად შენიშნეს 2013 წლის ივლისში, მაგრამ შემდეგ იგი გაქრა, რომ კვლავ გამოჩენილიყო სურათებზე, რომლებიც მიმდინარე წლის აგვისტოში გადაიღეს.

* * *

გენერალურ ასამბლეაზე ისრაელის პრემიერის სიტყვის მოსასმენად დარჩნენ „გაეროს მხოლოდ დამლაგებლები და მეგუფეტეები“

ბენიამინ ნეთანიაჰუ ნიუ-იორკში 69-ე სესიაზე გამოვიდა ნახევრად ცარიელი დარბაზის წინაშე. ჯერ კიდევ დილით პოლიტიკური მიმომხილველები ვარაუდობდნენ: მსოფლიო საზოგადოება დაიღალა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტისაგან. თავის სიტყვაში მთავრობის ხელმძღვანელმა თანასწორობის ნიშანი დასვა „ისლამურ სახელმწიფოსა“ და „ჰამასს“ შორის.



აინშტაინისა და თაგორის დიალოგი

1930 წლის 14 ივლისს, ალბერტ აინშტაინი ბენგალელ მწერალსა და ფილოსოფოსს რაბინდრანათ თაგორსშეხვდა, ბერლინში, საკუთარ სახლში. მათ შორის გაიმართა მსოფლიოს ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ინტელექტუალური საუბარი, რომელიც მოიცავდა მშვენიერების, ჭეშმარიტების, მეცნიერებისა და რელიგიის კონცეფციებს.

აინშტაინი: თქვენ გწამთ სამყაროსგან განცალკევებული ღმერთის?

თაგორი: არა განცალკევებული. ადამიანის უსასრულო პიროვნულობა მთელს სამყაროს მოიცავს. არ შეიძლება არსებობდეს რაიმე, რაც მას არ განეკუთვნება. ეს იმას ამტკიცებს, რომ სიმართლე სამყაროს შესახებ ადამიანური ჭეშმარიტებაა.

ამის ასახსნელად მეცნიერული ფაქტები გამოვიყენე. მატერია პროტონებისა და ელექტრონებისგან შედგება, რომელთა შორის არსებობს ხვრელები, თუმცა, მატერია მაინც ერთიანია. მსგავსად ამისა, კაცობრიობაც ინდივიდებისგან შედგება, მათ აქვთ ურთიერთობები, რომელიც ადამიანთა სამყაროს სასიცოცხლო ერთიანობას ანიჭებს. მთელი სამყარო მსგავსი მეთოდით გვიკავშირდება, ეს ადამიანთა სამყაროა. ამ მოსაზრებამდე ხელოვნების, ლიტერატურის და ადამიანის რელიგიური ცნობიერების ანალიზის საშუალებით მივედი.

აინშტაინი: სამყაროს ბუნების შესახებ, ორი განსხვავებული აზრი არსებობს:

1. სამყარო, როგორც ადამიანებზე დაფუძნებული ერთიანობა;

2. სამყარო როგორც ადამიანური ფაქტორისგან დამოუკიდებელი რეალობა;

თაგორი: როდესაც სამყარო მუდმივ ჰარმონიაშია ადამიანთან, ჩვენ მას, როგორც ჭეშმარიტებას ისე აღვიქვამთ და შევიგძნობთ, როგორც მშვენიერებას.

აინშტაინი: ეს წმინდა ადამიანური შეხედულებაა სამყაროს შესახებ.

თაგორი: არ შეიძლება სხვა შეხედულება არსებობდეს. მსოფლიო ადამიანთა სამყაროა – მასზე არსებული მეცნიერული აზრიც მეცნიერი ადამიანის შეხედულებაა. არსებობს მიზეზისა და სიამოვნების სტანდარტი, რომელიც მას ჭეშმარიტებას ანიჭებს – მუდმივი ადამიანის სტანდარტი, რომლის გამოცდილება ჩვენს გამოცდილებებს ემყარება.

აინშტაინი: ეს ადამიანური ქმნილების რეალიზაციაა.

თაგორი: ნამდვილად, ერთი მუდმივი არსება. ჩვენ საკუთარი ემოციებითა და მოქმედებებით უნდა ვაანალიზებდეთ მას. ჩვენ გავაცნობიერეთ, რომ უზენაეს ადამიანს არ გააჩნია არანაირი ინდივიდუალური შეზღუდვა ჩვენი შეზღუდვებიდან. მეცნიერება ურთიერთკავშირშია იმასთან, რაც ინდივიდებს არ ემიჯნება. ეს ობიექტურ ჭეშმარიტებათა ადამიანური სამყაროა. რელიგია აანალიზებს ამ ჭეშმარიტებას და ჩვენს სიღრმისეულ საჭიროებებთან აკავშირებს. ჩვენი ინდივიდუალური გაცნობიერება ჭეშმარიტებისა უნივერსალურ მნიშვნელობას იღებს. რელიგია ჭეშმარიტებას ღირებულებებს ანიჭებს, ჩვენ ჭეშმარიტებას მასთან ჰარმონიაში ყოფნით შევიცნობთ.

აინშტაინი: გამოდის ჭეშმარიტება, ან მშვენიერება ადამიანისგან დამოუკიდებელი არაა?

თაგორი: არა.

აინშტაინი: თუ ადამიანები არ იარსებებდნენ, ბელვედერის აპოლონიც აღარ იქნებოდა მშვენიერი?

თაგორი: არა.

აინშტაინი: მშვენიერების კონცეფციის შესახებ გეთანხმებით, თუმცა, ჭეშმარიტების შესახებ არა.

თაგორი: რატომ არა? ჭეშმარიტება ადამიანში ავლენს თავს.

აინშტაინი: არ შემიძლია დავამტკიცო, რომ ჩემი მოსაზრება სწორია, თუმცა, ეს არის ჩემი რელიგია.

თაგორი: მშვენიერება სრულყოფილი ჰარმონიის იდეალია, რომელიც უნივერსალურ არსებაში ვლინდება. ჭეშმარიტება უნივერსალური გონების სრულყოფილი აღქმაა. ჩვენ, ინდივიდები, ჭეშმარიტებამდე საკუთარი შეცდომებისა და უსიამოვნო შემთხვევების გზით მივდივართ, დაგროვილი გამოცდილების ხარჯზე, ჩვენი გასხივოსნებული ცნობიერების წყალობით – სხვა გზით როგორ შეიძლება შევიცნოთ ჭეშმარიტება?

აინშტაინი: არ შემიძლია მეცნიერულად დავამტკიცო, რომ ჭეშმარიტება გაგებული უნდა იყოს, როგორც სიმართლე, რომელიც მართებულად დამოუკიდებელია ადამიანთაგან, მაგრამ მე ამის მტკიცედ მწამს. მჯერა ისე, როგორც პითაგორას თეორემის, რომელიც გეომეტრიაში ამტკიცებს იმას, რაც ჭეშმარიტებასთან ძალზედ ახლოსაა, ადამიანის არსებობისგან დამოუკიდებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე რეალობა, რომელიც დამოუკიდებელია ადამიანისგან, ასევე არსებობს ჭეშმარიტებაც, რომელიც ამ რეალობას ენათესავება. იგივე გზით, პირველის უარყოფა მეორეს არსებობის უარყოფის საშუალებასაც გვაძლევს.

თაგორი: ჭეშმარიტება, რომელიც უნივერსალური ადამიანის გაგებასთან ერთად არსებობს, უნდა აუცილებლად ადამიანური იყოს, სხვა შემთხვევაში რასაც ჩვენ, ინდივიდები, ჩავთვლით სიმართლედ, ვერასოდეს იქნება ჭეშმარიტება, თუნდაც ის, რომელსაც მეცნიერულს ვუწოდებთ და რომელიც მხოლოდ ლოგიკის პროცესით მიიღწევა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორგანული ფიქრებით, რომელიც თავისთავად ადამიანურია. ინდური ფილოსოფიის თანახმად არსებობს ბრაჰმა, აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომელიც არ შეიცნობა ინდივიდის გონების განცალკევების წყალობით და არც სიტყვებით აღიწერება, ის შეიძლება მხოლოდ გაანალიზებულ იქნეს ინდივიდის მის უსასრულობასთან სრული შერწმით. თუმცა, ასეთი ჭეშმარიტება არ შეიძლება ეკუთვნოდეს მეცნიერებას. ჭეშმარიტება, რომლის ბუნებასაც ჩვენ განვიხილავთ, გარეგნული სახეა, ეს იმის თქმაა, რა ეჩვენება ადამიანის გონებას სიმართლედ, მაშასადამე ამგვარი სიმართლე მხოლოდ ადამიანურია. მას შეიძლება ეწოდოს მაია ან ილუზია.

აინშტაინი: გამოდის თქვენი შეხედულების თანახმად, რომელიც, შესაძლოა, ინდური კონცეფციაა, ეს მხოლოდ ცალკეულ ინდივიდთა კი არა, არამედ მთელი კაცობრიობის ილუზიაა.

თაგორი: სახეობებიც მიეკუთვნებიან ამ ერთიანობას, კაცობრიობას. მაშასადამე სრულიად ადამიანური გონება აანალიზებს ჭეშმარიტებას. ინდური და ევროპული გონებაც საერთო რეალიზაციას ექვემდებარებიან.

აინშტაინი: სიტყვა „სახეობა“ გერმანულ ენაშიც ყველა არსების აღსაწერად გამოიყენება, ფაქტია, თვით მაიმუნებიც და ბაყაყებიც კი მიეკუთვნებიან მას.

თაგორი: მეცნიერებაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ დისციპლინით ჩვენი გონების პირადი შეზღუდვების აღმოსაფხვრელად და ასე შევიმეცნებთ ჭეშმარიტებას, რომელიც უნივერსალური ადამიანის გონებაა.

აინშტაინი: დამოუკიდებელია, თუ არა ჭეშმარიტება ჩვენი ცნობიერებისგან, აქ იბადება პრობლემა.

თაგორი: რასაც ჩვენ ჭეშმარიტებას ვეძახით, რეალობის ობიექტურ და სუბიექტურ ასპექტთა ჰარმონიას შორის იმალება, რომლებიც, ორთავე, უზენაეს ადამიანს მიეკუთვნებიან.

აინშტაინი: თუნდაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ იძულებული ვართ, მივიღოთ რეალობა, როგორც ადამიანთაგან დამოუკიდებელი, იმ საგნებში, რომელთაც ვიყენებთ. ჩვენ ამას ვაკეთებთ, რათა დავაკავშიროთ ჩვენი გრძნობების გამოცდილებები მიზეზშედეგობრივი გზით. მაგალითისთვის, თუ სახლში არავინაა, მაგიდა მაინც თავის ადგილას რჩება.

თაგორი: დიახ, ის ინდივიდის გონების გარეთ რჩება, მაგრამ არა უნივერსალური გონების. მაგიდა, რომელსაც აღვიქვამ, ასევე აღქმადია იგივე სახის ცნობიერების მიერ, რომელსაც მე ვფლობ.

აინშტაინი: თუ არავინ იქნებოდა სახლში, მაგიდა მაინც უცვლელად იარსებებდა, მაგრამ ეს უკვე არასწორია თქვენი შეხედულების მიხედვით, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია, ავხსნათ, რას ნიშნავს, რომ მაგიდა იქაა, ჩვენგან დამოუკიდებლად.

ჩვენი ბუნებრივი შეხედულება ჭეშმარიტების ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებობის შესახებ, არ შეიძლება, აიხსნას ან დამტკიცდეს, მაგრამ ეს რწმენაა, რომელიც არ შეიძლება ვინმეს აკლდეს – თუნდაც პრიმიტიულ არსებას. ჩვენ უზენაესი ადამიანის ობიექტურობასაც ჭეშმარიტებას მივაკუთვნებთ; ეს აუცილებელია ჩვენთვის, რეალობა, რომელიც დამოუკიდებელია ჩვენი არსებობისგან, ჩვენი გამოცდილებისა და გონებისგან – შესაბამისად არ შეგვიძლია ვთქვათ, რას ნიშნავს იგი.

თაგორი: მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ მაგიდა, როგორც საგანი მხოლოდ გარეგნული სახეა და შესაბამისად, რასაც ადამიანის გონება აღიქვამს როგორც მაგიდას, არ იარსებებდა, თუ გონება გაქრებოდა. ამავდროულად, უნდა ვაღიაროთ ის ფაქტიც, რომ მაღალი ფიზიკური რეალობა არაფერია, გარდა მრავალი მბრუნავი ელექტრული ძალის ცენტრებისა, რომელიც ასევე ადამიანის გონებას მიეკუთვნება.

ჭეშმარიტების აღქმაში, არსებობს მუდმივი კონფლიქტი უნივერსალური ადამიანის გონებასა და იგივე გონებას შორის, რომელიც გაბნეულია ინდივიდებში. მისი დალაგების საუკუნო პროცესი მიმდინარეობს ჩვენს მეცნიერებაში, ფილოსოფიასა და ეთიკებში. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ჭეშმარიტება, რომელიც აბსოლუტურად არ არის კავშირში კაცობრიობასთან, მაშინ ის აბსოლუტურად არ არსებობს.

არაა ძნელი, წარმოიდგინო გონება, რომლისთვისაც საგანთა წესრიგი სივრცეში კი არ ხდება, არამედ მხოლოდ დროში, როგორც მუსიკის ნოტების წყობა. ასეთი გონებისთვის რეალობის მსგავსი აღქმა, ენათესავება მუსიკალურ რეალობას, რომელსაც პითაგორას გეომეტრიაში არანაირი მნიშვნელობა არ ექნებოდა. არსებობს ფურცლის რეალობა, რომელიც უსასრულოდ განსხვავდება ლიტერატურის რეალობისგან. ჩრჩილით შეპყრობილი გონებისთვის, რომელიც ჭამს ლიტერატურას, ის აბსოლუტურად არ არსებობს. ადამიანის გონებისთვის ლიტერატურას ბევრად დიდი ღირებულება აქვს, ვიდრე თავად ფურცელს. ასე და ამგვარად, თუ არსებობს რაიმე სიმართლე, რომელსაც აქვს არაგრძნობადი ან რაციონალური კავშირი ადამიანის გონებასთან, ის ყოველთვის არაფრად დარჩება მანამ, ვიდრე ჩვენ ადამიანური ქმნილებები ვიქნებით.

აინშტაინი: მე მეტად რელიგიური ვარ, ვიდრე თქვენ!

თაგორი: ჩემი რელიგია უზენაესი ადამიანის შეცნობაა, უნივერსალური ადამიანური სულის, ჩემს ინდივიდუალურ არსებაში.

თარგმნა
თეიმო ბერიშვილმა

◎ ალიანჩალიანი

რუსეთის კინოფონდი ქართულ ფილმებს გადმოგვცემს

საქართველოს კულტურის სამინისტროში ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო კინოფონდი „გოსფილმოფონდი“ საქართველოს 1916 წლიდან 1990 წლამდე გადაღებულ და ფონდში დაცულ ქართულ ფილმებს გადასცემს. ამასთან დაკავშირებით, მემორანდუმს კულტურის სამინისტროში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო კინოფონდის „გოსფილმოფონდის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ბოროდაჩევმა მოაწერეს ხელი.

როგორც მიხეილ გიორგაძემ განაცხადა, 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საუბარი „გოსფილმოფონდში“ დაცული ქართული კინომასალების გადმოცემის შესახებ, თუმცა ეს წარმატებით ახლა დასრულდა. მისივე თქმით, მომავალი წლიდან პრაქტიკულად დაიწყება აღნიშნული სამუშაოები. მინისტრმა დასძინა, რომ ფონდში დაცული მასალების გადმოცემას 5-წლიანი პერიოდი დასჭირდება. მინისტრის თქმით, პირველ რიგში, შეიქმნება სრული სია იმ ფილმებისა და კინომასალის, რომლის გადმოცემაც მოხდება საქართველოსთვის.

თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო კინოფონდის „გოსფილმოფონდის“ დირექტორმა ნიკოლოზ ბოროდაჩევმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ ფონდში ფილმები 1890-იანი წლებიდან ინახება. მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქართველი კინემატოგრაფების მიერ შექმნილი ფილმები და მათზე მოთხოვნა დღევანდელ მსოფლიოშიც დიდია.

ბოროდაჩევმა აღნიშნა, რომ ამჟამად ფონდში ინახება 381 მხატვრული, 200-მდე ანიმაციური და 100-მდე დოკუმენტური ქართული ფილმი. მისივე თქმით, ამ კინომასალაზე და ფილმებზე საავტორო უფლებები საქართველოს გააჩნია და ქართული მხარის გარეშე რაიმე მოქმედების განხორციელება შეუძლებელია.

მან კმაყოფილება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ კულტურის ახალ მინისტრთან პირველივე მცდელობისას გამოძებნა საერთო ენა და ორივე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეს საკითხი სასიამოვნოდ გადაიჭრება.

ინტერპრესი

◎ პოლემიკა

თბილისის მერია ზვიად სიჭინავას უსაფუძვლო ბრალდებებში ადანაშაულებს

თბილისის მერია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს უსაფუძვლო განცხადების გაკეთებაში ადანაშაულებს.

როგორც თბილისის მერის მოადგილემ ალუდა გოგლიჩიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ზვიად სიჭინავამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს 2015 წლის 11 აგვისტოს თბილისში უეფას სუპერთასის ფინალური მატჩის ჩატარება, თბილისის მერიის დაუდევრობის გამო, შესაძლოა, ჩავარდეს. გოგლიჩიძის განცხადებით, თბილისის მერია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურად ჩაერთი სუპერთასის ფინალური მატჩის საორგანიზაციო საკითხებში, თუმცა, ხელშეკრულება, რომელზეც მერიას უნდა მოეწერა ხელი, ფეხბურთის ფედერაციას ამ დრომდე არ მოუმზადებია.

„კარგი იქნებოდა, თუკი ფეხბურთის ფედერაციას გაცილებით საქმიანი მიდგომა ექნებოდა აღნიშნული ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით. დღემდე არც ერთ ფორმალურ დოკუმენტში, რომელიც უეფას სუპერთასის ფინალური მატჩის საორგანიზაციო საკითხებს განსაზღვრავს, თბილისის მერია არ ფიგურირებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ უეფა-სთან ხელშეკრულებას ხელს აწერს არა თბილისის მერია, არამედ ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც, თავის მხრივ, ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინა თბილისის მერიასთან, თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან და სტადიონთან. თუმცა, სფფ-ს თბილისის მერიისთვის აღნიშნული დოკუმენტი ამ დრომდე არ შემოუთავაზებია“, — განაცხადა გოგლიჩიძემ.

მისივე თქმით, ფაქტია ისიც, რომ თბილისის მერიის 2014 წლის ბიუჯეტში აღნიშნული ღონისძიების საორგანიზაციო საკითხებზე თანხა გათვალისწინებული არ იყო და მხოლოდ აგვისტოს ბოლოს, ბიუჯეტის კორექტირების შემდეგ გახდა შესაძლებელი სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო თანხის გამოყოფა.

„2014 წლის 26 აგვისტოს თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან შემოვიდა წერილი, რომლითაც ის ითხოვდა 2015 წლის 11 აგვისტოს თბილისში უეფას სუპერთასის მასპინძლობასთან დაკავშირებით მატჩის მასპინძელ — ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩასატარებელი სამუშაოების ფარგლებში ბილეთების ელექტრონული სისტემისა და მასთან პირდაპირ და პერიფერიულად დაკავშირებული ტექნიკის მონტაჟისთვის 2014 წლის ბიუჯეტში თანხების გამოყოფის თაობაზე. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად მერიის საფინანსო სამსახურმა მოამზადა თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი, რომელიც თბილისის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის N8-14 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა და ბიუჯეტში დაემატა „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის განვითარების“ ქვეპროგრამა საერთო თანხით 4,2 მილიონი ლარი. ღონისძიების საორგანიზაციო საკითხებისთვის საჭირო თანხები თბილისის 2015 წლის ბიუჯეტშიც არის დაგეგმილი და ჯამში აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. თბილისის მერიის ფინანსური მონაწილეობა 13,2 მილიონი ლარით განისაზღვრება“, — აღნიშნა გოგლიჩიძემ.

მისივე თქმით, ის დოკუმენტები, რომელიც ფორმალურად განსაზღვრავს თბილისის მერიის მონაწილეობის საკითხებს 2015 წლის 11 აგვისტოს უეფას სუპერთასის ფინალური მატჩის მასპინძლობასთან დაკავშირებულ პროექტში, არ არსებობს.

„მიმდინარე წლის 15 სექტემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მოგვაწოდა უეფასთან დასადები ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს უეფამ და ფეხბურთის ფედერაციამ. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით ფედერაციამ უნდა უზრუნველყოს მერიასთან ხელშეკრულების დადება, რომლის პროექტიც ფედერაციას ჯერჯერობით არ მოუწოდებია. ამავე წერილით ფედერაცია მერიისაგან ითხოვს ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში მოცემული ინფორმაციის შევსებას, რაც ბუნდოვანია მოწოდებული ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობისას მოვიძიეთ ის დოკუმენტები, რომელიც ფორმალურად განსაზღვრავს თბილისის მერიის მონაწილეობის საკითხებს 2015 წლის 11 აგვისტოს უეფას სუპერთასის ფინალური მატჩის მასპინძლობასთან დაკავშირებულ პროექტში. აღმოჩნდა, რომ სოციალური უზრუნველყოფისა და კულტურის საქალაქო სამსახურის შესაბამის სპორტის განყოფილებაში ამ კუთხით არავითარი დოკუმენტი არ მოიძებნა“, — განაცხადა გოგლიჩიძემ.

მისივე თქმით, 25 სექტემბერს, ფედერაციასა და მერიას შორის სამუშაო შეხვედრისას გაირკვა, რომ არ არსებობს პროექტი, სადაც გაწერილია ღონისძიებისთვის მოსამზადებელი კონკრეტული ქმედებები პასუხისმგებელი პირების, შესრულების დროისა და საჭირო თანხების მითითებით.

„გაურკვეველია, არსებობს თუ არა აუდიტის დასკვნა სტადიონზე გასაწევი სამუშაოების აუცილებლობის შესახებ. არ არის ინფორმაცია ღონისძიებისთვის შესასყიდი ტექნიკის გარანტიისა და დაზღვევის ხარჯების შესახებ, შესაბამისად, გაურკვეველია, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა სატესტო თამაშის დროს ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში“, — აღნიშნა გოგლიჩიძემ.

მერის მოადგილის განცხადებით, ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით გადაწყდა, რომ საკითხი დაჩქარებული წესით გავიდეს საქართველოს მთავრობის სხდომაზე და საქართველოს მთავრობის დადგენილებით მოხდეს თბილისის მერიის აღნიშნულ ღონისძიებაში ფინანსური მონაწილეობის ფორმალიზება.

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია წარუდგენს მის ხელთ არსებულ ყველა დოკუმენტს საკითხით დაინტერესებულ ყველა მხარეს. გაფორმდება ხელშეკრულება საკითხით დაინტერესებულ მხარეებსა და ქ. თბილისის მერიას შორის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მოამზადებს პროექტს ღონისძიებისთვის გასაწევი სამუშაოების შესახებ დროში გაწერილი, თანხებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით. სს „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი“ მოამზადებს განვითარების სტრატეგიულ გეგმას და გრძელვადიან პროგრამას, რის საფუძველზეც ბიუჯეტის ქვეპუნქტი — „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის განვითარების“ ქვეპროგრამა გაიწერება სრულფასოვნად. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია წარმოადგენს უეფას მიერ გამოგზავნილ სამოქმედო გეგმას, ახსნა-განმარტებით, თუ რა სამუშაოები შესრულდა, რა თანხები დაიხარჯა, ვინ იყო პასუხისმგებელი, ვინ გაწია ხარჯები და რა სამუშაოებია შესასრულებელი - დროის, პასუხისმგებელი პირის, თანხის მითითებით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თბილისის მერიას წარუდგენს უეფას იმ მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სტადიონი. აღნიშნულზე დაყრდნობით, მომზადდება დასკვნა სტადიონზე გასაწევი სამუშაოების აუცილებლობის შესახებ და სხვა“, — განაცხადა გოგლიჩიძემ.

ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის რევაზ არველაძის თქმით, გუშინ მერიისა და ფედერაციის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა შედგა და ყველა საკითხი მოგვარებულია.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

საქართველოს ნაკრები მე-5 კალათაში და ბერლინს მიღმა

2015 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა 15 ნოემბერს შედგება, საქართველოს საკალათბურთო ნაკრები კი ბოლოსწინა მე-5 კალათაში იქნება განთესილი. მომავალი ევრობასკეტის შესახებ ახალი ცნობები რამდენიმე ევროპულ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა და როგორც სჩანს, უახლოეს დღეებში მათ ფიბა-ევროპა ოფიციალურად გაახმაურებს.

თავიდანვე ვთქვათ, რომ საქართველოსთან ერთად მე-5 კალათაში იმყოფება გერმანიაც, რაც იმის მომასწავებელია, რომ პირველ ეტაპზე ქართველი კალათბურთელების ბერლინში თამაში გამოირიცხა. ამდენად, რჩება 3 ვარიანტი — მონპელიე (საფრანგეთი), ზაგრები (ხორვატეთი) და რიგა (ლატვია). უფრო მეტიც, უკვე ცნობილია, რომ ჩვენს ნაკრებს მეტოქედ ვერც თურქეთი ერგება, რომელიც გერმანელებმა... პარტნიორ ქვეყნად აირჩიეს.

დიახ, ეს ფიბა-ევროპას კიდევ ერთი ნოვაციაა, რომლის არსიც შემდეგშია. ევროპირველობის მასპინძელ ქვეყნებს, რომლებიც, როგორც იცით, ოთხნი არიან, უფლება მიეცათ, ტურნირის უკეთ ორგანიზებისთვის ფინალისტთაგან ერთ-ერთი კალათბურთის ფედერაცია შეერჩიათ და შესაბამისად, იმ ქვეყნის ნაკრებიც მათ ჯგუფში მოხვდებოდა.

გასაკვირი არ ყოფილა, რომ ხორვატეთმა და ლატვიამ მეზობლები, შესაბამისად, სლოვენია და ლიტვა შეარჩიეს, საფრანგეთმა ფინელები „დაპატიჟა“, ხოლო გერმანიამ — თურქეთი. სწორედ ამიტომაც აღვნიშნეთ, რომ ქართველ კალათბურთელებს წილისყრისას არა მარტო გერმანია, არამედ თურქეთიც აცდებათ, რაც ცუდი ნამდვილად არაა.

ცნობისთვის, 24 ფინალისტი ექვს ოთხგუნდიან კალათაშია გადანაწილებული, პირველი კვარტეტი კი გასული ევრობასკეტის ნახევარფინალისტებმა შეადგინეს. შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე ნათამაშევი გუნდები და ისინი მოდიან, რომელთაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საუკეთესო შედეგები ჰქონდათ.

1 კალათა: ხორვატეთი, საფრანგეთი, ლიტვა, ესპანეთი.

მე-2 კალათა: სერბეთი, სლოვენია, უკრაინა, ფინეთი.

მე-3 კალათა: საბერძნეთი, ლატვია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, თურქეთი.

მე-4 კალათა: იტალია, პოლონეთი, ბელგია, მაკედონია.

მე-5 კალათა: გერმანია, ისრაელი, ჩეხეთი, საქართველო.

მე-6 კალათა: რუსეთი, ჰოლანდია, ისლანდია, ესტონეთი.

კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ჯერჯერობით არაოფიციალური ინფორმაციაა, თუმცა, ლოგიკასთან საკმაოდ ახლოსაა და ალბათ, განთესვა სწორედ ამგვარი იქნება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ჟენდელინ ნუნიესი - ჩილელთა ვნება და სიამაყე

ჩილელი ჟურნალისტი ქალი ჟენდელინ ნუნიესი ყოველთვის ცნობილი იყო თავისი ორიგინალური და თამამი საქციელით. მაგალითად, შარშან მან საფეხბურთო კლუბ „კოლო კოლოს“ საწვრთნელ ბაზაზე უცნაურად იხუმრა და ამ კლუბის რამდენიმე ფეხბურთელს უფლება მისცა მის მკერდს „წასთამაშებოდა“.

ახლა ამ ჩვენმა ჟენდელინმა იმდენი ჰქმნა, რომ ჩილეს სპორტული და არამხოლოდ სპორტული პრესა სწორედ მას მიიჩნევს ჩილეს საფეხბურთო ნაკრების თილისმად და ეს მაშინ, როდესაც ჟენდელინ ნუნიესს ამ საქმეში ერთობ ლამაზი და წარმატებული კონკურენტები ჰყავს.

ჩილეს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს არტურო ვიდალს ამასწინათ იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში უთქვამს, ცოლიანი კაცი რომ არ ვიყო, ჩვენში რომ ერთი ჟურნალისტი დაიარება — სახელად ჟენდელინი, იმას აუცილებლად წავეიმასქნებოდიო. სადაც ცოლიანი კაცი ამას ამბობს, სხვები რას იტყვიან, ხომ წარმოგიდგენიათ...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჩოგბურთი

რაფას „მშრალი“ დაბრუნება

ხელის ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სადღეისოდ მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე ნომერი რაფა ნადალი კორტს პეკინში, China Open-ის ტურნირზე დაუბრუნდა. სასტარტო მატჩში 28 წლის მალიორკელმა მხოლოდ 4 გეიმი დაუთმო ფრანგ რიშარ გასკეს, მეორე სეტი კი სულაც „მშრალად“ მოუგო — 6:4, 6:0.

ესპანელისა და ფრანგის დაპირისპირებამ საათსა და 18 წუთს გასტანა. რაფამ 4-4 ბრეიქი და ეისი შეასრულა, გასკესთან ურთიერთდაპირისპირების ანგარიში კი 13:0 გახადა. მერვედფინალში ნადალი ხორვატი ივო კარლოვიჩის მძლეველ გერმანელ პეტერ გოროვჩიკს შეხვდება.

კოგა კოგასხიძე

◎ დედაქალაქის მერიის საყურადღებოდ!

თბილისის კლასიკური გიმნაზიის ეზო ტუალეტადაა ქცეული!

ამ სათაურმა, რომელიც, მკითხველთა უმრავლესობას, შეიძლება „გადამლაშებული“ ეჩვენოს, ჩვენი დიდი სურვილია, უპირველესად, დედაქალაქის მერიის მესვეურთა ყურადღება მიიქციოს! რაც შეეხება „გადამლაშებას“, კი ბატონო, მიბრძანდით და, თუ ვერ ნახავთ გიმნაზიის ეზოში ნაგავს — ცარიელა პლასტმასის ბოთლებს, შენობის კედლების ძირში მიმოყრილ, ჩაბინძურებულ ქაღალდის ნარჩენებს და, წარმოიდგინეთ, შარდით ჩაყვითლებულ კედლებს, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

აი, რა მითხრა იმ დღეს შვილიშვილის მომლოდინე ერთმა ნაცნობმა ბაბუამ:

— შემოვიდა გუშინწინ ვიღაც ლესია უკრაინკას ქუჩიდან, მიაშარდა გიმნაზიის კედელს, პირველი სართულის ფანჯრებიდან კი მოსწავლეები უყურებდნენ სიცილ-კისკისით...

უმსგავსოს და უწესრიგოს რა გამოლევს, მაგრამ ამჟამად რომ ჩვენში ყველაფრის მიმართ აგდებული დამოკიდებულებაა, რა თქმა უნდა, ესეც იწვევს თბილისის კლასიკური გიმნაზიის — ამ უდიდესი ტრადიციების მქონე სასწავლო დაწესებულების ეზო-ყურესთან ნამეტან „გაშინაურებას“. მაშ, რად უნდა ჰქონდეთ აქ ვიღაც-ვიღაცებს მიტინგების და ათასგვარი აქციების ჩატარების უფლება?!

იქნებ, სწორედ ასეთ რია-რიაშია ამოგლეჯილი ვიღაც უწმინდურის (ანდა, სულაც ნარკოტიკით გაბრუებული უწმინდურების) მიერ, ასოები გიმნაზიის ეზოში მდგარი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლის პოსტამენტიდან?! რა ხანია, ასე დამახინჯებულადაა პოსტამენტზე ჩვენი სათაყვანო ადამიანების გვარ-სახელები, გამსწორებელი და წესრიგში მომყვანი კი არსაიდან ჩანს! რა გასაკვირია, ყველა ვინც ძეგლს ახლოდან ნახავს, ირონიულად იღიმება ამ დაუჯერებელი ფაქტის გამო!

— მივწერეთ მერიას გიმნაზიის ეზოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არავითარი რეაგირება არ ჩანს, — მითხრეს გიმნაზიის დირექციაში — იქნებ მერიის ახლადარჩეულმა შემადგენლობამ მაინც მოგვაქციოს ყურადღება?! **მთელი უბედურება ისაა, რომ გიმნაზიის ეზო, შეიძლება ითქვას, უკვე რუსთაველის გამზირის ნაწილად იქცა და აქ მიდი-მოდის ყველა, ვისაც მოეპრიანება. ჰოდა, ალბათ, აუცილებელია, კარგი, ლამაზი ღობით შემოკავდეს აქაურობა და მართლაც გიმნაზიის ეზოს სახელი დაერქვას!**

— ქუჩაა ბატონო, ქუჩა, აბა, რაღაა?! ჩახვეოდა იმ დღეს ერთმანეთს ქუჩიდან შემოსული ქალ-ვაჟი და ძლივს დავაცილე... პირდაღებული მიჩერებოდნენ უმცროსკლასელები! — გაბრაზებულია გიმნაზიის მეთვალყურე, უამრავი თაობის გამცილებელი ქალ-ბატონი ნელი ჩხეტია, — მოგვხედონ, ბოლოს და ბოლოს, მოგვხედონ!

მეტი რაღა ვთქვათ და რაღა დავწეროთ, პატივცემულო მერიის მესვეურნო?! სხვათა შორის, დედაქალაქის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის, ყოფილი ჟურნალისტის, პრინციპული და სიმართლისმოყვარე ალეკო ელისაშვილის ბავშვიც ამ გიმნაზიაში სწავლობს. ალეკოც ხშირად დადის ამ ეზოში, ჰოდა, ხომ უნდა, რომ უკეთესი იყოს აქაურობა? მაშ, ისიც დატრიალდეს!

ეს გადაუდებელი საქმეა, ბატონებო!

ვილენ მარდალეიშვილი

ვის არ აწყობს კონკურენცია

შევარდნაძის ხელისუფლების დროს შეიქმნა ანტიმონოპოლიური სამსახური და კონკურენციის სააგენტო. მაგრამ მაშინდელ მმართველ ელიტას ამგვარი ორგანოების შექმნა არ აწყობდათ და ისინი მხოლოდ ქაღალდზე არსებული სტრუქტურები დარჩნენ. წინა ხელისუფლების მაღალ ჩინოსნებს, რომელთა უმეტესობა აქტიურად იყო ჩართული ბიზნესში (პირდაპირ თუ ირიბად) კიდევ უფრო არ აწყობდათ ზემოთ ნახსენები სამსახურების არსებობა და რეალურად ამოქმედება. ამიტომ ორივე ორგანო გააუქმეს — ყბადაღებული „შევარდნაძის გადმონაშთის“ მოტივით.

ეკონომისტთა და ექსპერტთა მოსაზრებით, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, ზოგადად ეკონომიკურ აგენტთა ინტერესების დაცვა პირდაპირ ჰპოვებს ასახვას ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოების კეთილდღეობაზე. სპეციალისტი ეკონომიკის დარგში **გიორგი ლაშხია** განმარტავს, რომ **კანონით განსაზღვრულია** (კანონი კონკურენციის სააგენტოს ჩამოყალიბების შესახებ ახალმა ხელისუფლებამ მიიღო) **სააგენტომ ქმედითი ღონისძიებები მიიღოს დომინირებული მდგომარეობის აღსაკვეთად. მასვე ევალება მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, ეკონომიკური აგენტების ინტერესების დაცვა.,კონკურენციის შესახებ კანონის დარღვევის შემთხვევაში, მათი დროული გამოვლენა და შესაბამისი რეაგირების განხორციელება, მაგრამ სამწუხაროდ კანონი დღემდე უმოქმედოა.**

ექსპერტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კანონის მიღება და კონკურენციის სააგენტოს შექმნა ხელოვნურად მოხდა, რადგანაც ევროპასთან ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე ჩვენს ქვეყანას ჰქონდა ასეთი ვალდებულება ევროკავშირის წინაშე. ექსპერტი **ლევან კალნდაძე** ფიქრობს, რომ **კანონი არა რეალურად ასამოქმედებლადაა მიღებული, არამედ იმისთვის, რომ გვქონოდა ასეთი კანონი.** კიდევ ერთი ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში **ირაკლი ლექვინაძე** ამტკიცებს, რომ **ამ კუთხით ბევრი სამუშაოა ბაზარზე. კონკურენციის სააგენტოს მხრიდან კი ჯერჯერობით არანაირი ქმედება არ განხორციელებულა.** მიზეზად კი ლექვინაძე კანონის ამპლემეტაციისათვის საჭირო მეთოდოლოგიისა და აუცილებელი ინტერესების არ არსებობას, ბაზრის ანალიზის, მონოპოლისტების შეფასების კრიტერიუმების ჩამოუყალიბებლობას ასახელებს.

კონკურენციის სააგენტოსა და მის შესახებ კანონის ამოქმედების გაჭიანურებას გიორგი ლაშხია, ბევრი მისი კოლეგის მსგავსად, მთავრობის ინერტულობითა და უმოქმედობით ხსნის. მას მიაჩნია, რომ ბიზნესში დარჩნენ წინა ხელისუფლების დროინდელი მონოპოლისტები, რომელთაც ლობისტობას უწევენ საპარლამენტო უმცირესობა და სამწუხაროდ, ამგვარ ბიზნესში ჩართული ახალი ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან მათ, რასაკვირველია, არ აწყობთ ანტიმონოპოლიური და კონკურენციის შესახებ კანონებისა და სამსახურების ამოქმედება, თვლის ჩვენთან მოსაუბრე.

ინფორმაციისთვის: კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარედ პრემიერმა ღარიბაშვილმა მიმდინარე წლის 15 აპრილს დანიშნა ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნე **გიორგი ბარაბაძე,** რომელიც მანამდე პრემიერ-მინისტრის ეკონომიკური საბჭოს იურიდიულ სამსახურში მრჩევლად მუშაობდა. 5 თვე გავიდა და ბარაბაძის სააგენტო ჯერ არ მუშაობს. მისი უფროსი გაურბის საინფორმაციო საშუალებებთან ურთიერთობებს. ერთადერთი, რაც სააგენტოს შესახებაა ცნობილი ისაა, რომ ის პირველი ოქტომბრიდან დაიწყებს ფუნქციონირებას. მანამდე კი ბარაბაძე თურმე კადრების შერჩევითაა დაკავებული.

ყოველივე ეს ექსპერტების, სპეციალისტებისა და განსაკუთრებით ბიზნესმენების სამართლიან შეშფოთებასა და სხვადასხვა ეჭვებს ბადებს.

ზაზა ბილიხოძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სამძიმარს უცხადებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ეს ძმის

ბერი გიორგის (ვიქტორ შიოლაშვილი)

გარდაცვალების გამო

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ერის სულიერ მამას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს ძმის

ბერი გიორგის (ვიქტორ შიოლაშვილი)

გარდაცვალების გამო.

◎ ალიანჩალიანი

თამბაქო კვლავ გაძვირდება

2015 წლისათვის თამბაქოზე აქციზის გადასახადი კიდევ ერთხელ მოიმატებს. თამბაქოს გაძვირებით სახელმწიფო მწეველთა რაოდენობის შემცირებას გეგმავს. თამბაქოზე აქციზის ეტაპობრივი ზრდა თამბაქოს კონტროლის შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის ერთ-ერთი რეკომენდაციაა.

„ჩვენს ქვეყანაში თამბაქოს მოხმარების შედეგად გამოწვეული დაავადებების და სიკვდილიანობის მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა. წელიწადში 11 ათასი ადამიანი იღუპება, აქედან 3 ათასი ადამიანი პასიური მწეველია. თამბაქოს კონტროლის შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციით გათვალისწინებულ მუხლებთან ჩვენ უნდა მოვიდეთ შესაბამისობაში. მწეველთა რაოდენობის შემცირების მიზნით, კონვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა ეტაპობრივად თამბაქოზე აქციზის ზრდა. ერთხელ ეს უკვე მოხდა და შესაბამისი ეტაპი იქნება 2015 წელს. მომავალ წელს გათვალისწინებულია თამბაქოზე აქციზის გადასახადის მატება“, — განაცხადა პარლამენტის ჯანდაცვის საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელმა დიმიტრი ხუნდაძემ.

კომიტეტის თავმჯდომარე ჯერჯერობით ვერ აზუსტებს, რა ოდენობით შეიძლება გაიზარდოს აქციზის გადასახადი და რა ფასი იქნება თამბაქოს პროდუქციაზე. მისი თქმით, ამ ყველაფერს ფინანსთა სამინისტრო დათვლის.

„გოგი პიტერსკი“ მოსკოვში დააკავეს

მოსკოვში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი გოგი პიტერსკი (ჯანელიძე) დააკავეს, რომელსაც დაჯარიმება და საქართველოში დეპორტაცია ემუქრება.

ინტერნეტ-პორტალის ცნობით, 41 წლის „კრიმინალური ავტორიტეტი“ რუსეთში უკანონოდ იმყოფება, გამომდინარე იქიდან, რომ იუსტიციის სამინისტრომ იგი არასასურველ პერსონად ცნო. გოგი ჯანელიძემ მოსკოვის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეასრულა და მოსკოვიდან არ გაემგზავრა, შესაბამისად, იგი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ არსებული რეჟიმის დარღვევისთვის დააკავეს.

ამოიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს გონიოს პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღეს.

შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1972 წელს დაბადებული მამუკა ო. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში შემოტანის ბრალდებით სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 6,61 გრ ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 1,127 გრ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით, ბრალდებულს „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

თაღლითმა 700 დოლარი მიითვისა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, თაღლითობის ფაქტზე, ერთი პირი თეა ჩიქვინიძე დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ერთ-ერთ მოქალაქეს დაპირდა, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ დაკისრებულ, 10 000 ლარის ოდენობის ჯარიმას საქალაქო სასამართლოს გააუქმებინებდა. თეა ჩიქვინიძემ მოქალაქეს 700 აშშ დოლარი გამოართვა, თითქოს მოსამართლის თანაშემწისთვის გადასაცემად.

◎ ამინდი

საქართველოში შედარებით დათბება

კვირის ბოლომდე საქართველოში შედარებით დათბება და ჰაერის საშუალო ტემპერატურა 22 გრადუსი იქნება. როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოლოგიური სამსახურის უფროსმა სვეტლანა ნიორაძემ განაცხადა, დასავლეთ საქართველოში ნალექი უკვე შემცირდა.

ოქტომბრის თვის პირველ რიცხვებიდან კი მთელს საქართველოში შედარებით დათბება და ნალექი შემცირდება, თუმცა, ზოგიერთ რაიონებში სინოპტიკოსები პერიოდულად წვიმას პროგნოზირებენ. 1 - 5 ოქტომბრის ჩათვლით დასავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 22 გრადუსი იქნება. 3 ოქტომბერს კი, აღმოსავლეთ საქართველოში აგრილდება და ჰაერის საშუალო ტემპერატურა 18-19 გრადუსი, ხოლო თბილისში 16 გრადუსი იქნება.

5 ოქტომბრის შემდეგ კი შესაძლოა ამინდი კვლავ გაუმჯობესდეს.

◎ წერილი რედაქციას

დიდი მადლობა პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისათვის

დასუსტებული სხეულით ძლივს ავლასლასდი მეხუთე სართულზე და ნაცნობ ექიმს მივაკითხე. მან გულისყურით მომისმინა და მირჩია, დაუყოვნებლივ „ავერსის“ კლინიკისთვის მიმემართა. ასე აღმოვჩნდი თერაპევტ მედეა ტუღუშის კაბინეტში, რომელმაც სასწრაფოდ მომიგვარა დაზღვევა, დააჩქარა ანალიზები და სტაციონარში ქალბატონ ლეილა ძნელაძეს გადამაბარა.

და მაშინ, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ კვალიფიციურ და გულისხმიერ ადამიანებთან მოვხვდი. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ საამქვეყნოდ მოვეტრიალებინე.

ამ პროცესში ენდოკრინოლოგი, ქალბატონი ირინა ლომთაძეც ჩაერთო (მისი მეთვალყურეობის ქვეშ დღესაც ვარ) და რწმენა და სიცოცხლის იმედი დამიბრუნდა. მადლიერებით მახსენდება, მთავარი ექიმის – „ავერსის კლინიკის“ დირექტორის, პროფესორ გიორგი გიორგობიანის ომახიანი მოსალმება-შეხმიანებები – აბა როგორ ხარ? ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება!

ბედი მქონია, რომ ასეთ გამოცდილ და ყურადღებიან ხალხში მოვხვდი. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩემს გამოჯანმრთელებაში მონაწილეობდა, პროფესიონალზმისა და გულისხმიერებისთვის.

სერგო ვართანესოვი

„სრ“ რედაქციისგან: სერგო ვართანესოვი ჩვენი კოლეგაა. იგი 30 წელზე მეტია ფოტოაპარატით ემსახურება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს. მუშაობდა „საქინფორმში“, პარალელურად – „АПН“-ში. მისი შემოქმედება დღესაც არ ტოვებს გულგრილს ფოტომოყვარულებს და საპატიო ადგილი უკავია ახლახან გამოცემულ „ქართულ ფოტოგრაფიაში“.

სურათზე: მარცხნიდან ლელა, ძნელაძე, მედეა ტუღუში და ირმა ლომთათიძე.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ჩვენი კარაბადინი

როგორ წიგნია უკეთესი

ელექტრონული წიგნები ჩამორჩებიან ქაღალდისას, დაადგინეს ნორვეგიელმა მეცნიერებმა. როგორც აღმოჩნდა, ადამიანებს უჩნდებათ პრობლემები ელექტრონული წიგნის ტექსტის გაგებასთან და გააზრებასთან დაკავშირებით. სპეციალისტებმა მოაწყვეს გამოკვლევა მოყვარულებზე. გამოსაკვლევებს შესთავაზეს, წაეკითხათ დეტექტიური მოთხრობა. ექსპერიმენტის მონაწილეები დაყვეს ორ ჯგუფად: ერთს მისცეს ელექტრონული წიგნი, მეორეს – ტექსტი ქაღალდზე. შემდეგ მოხალისეებს სთხოვეს, მოეთხროთ წაკითხულის შესახებ. მეორე ჯგუფის მონაწილეებმა, რომლებიც ტექსტს ქაღალდზე კითხულობდნენ, უკეთ გაართვეს თავი დასმულ ამოცანას. უფრო მეტიც, ზოგიერთმა მოხალისემ პირველი ჯგუფიდან ვერ შეძლო მოეთხრო მთავარ გმირებზე და გადმოეცათ სიუჟეტის საერთო აზრი. „ჩვენ დავრწმუნდრთ, რომ წიგნების ან სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები არ აძლევენ ადამიანებს საშუალებას, ამოიცონ წიგნის არსი, ვინაიდან ეკრანის მუდმივი ციმციმი აქვეითებს ყურადღებას. მკითხველი გადაირთვება ტექსტიდან, ეკარგება მოვლენათა მსვლელობა და მუდმივად უბრუნდება დასაწყისს“, – აღნიშნავენ შრომის ავტორები. გაგების პრობლემების გარდა, ელექტრონული წიგნის გამოყენების დროს ექსპერიმენტის მონაწილეებმა ნაწარმოები წაიკითხეს 6,2 პროცენტით უფრო ნელა, ვიდრე ექსპერიმენტის იმ მონაწილეებმა, რომლებიც ჩვეულებრივ ნაბეჭდ წიგნს კითხულობდნენ.

ყავა სასარგებლოა კბილებისათვის

ყავის ზომიერ სმას შეუძლია დაიცვას კბილები, ამტკიცებენ მკვლევარები ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

სპეციალისტებმა მოაწყვეს გამოკვლევა, რომლის დროსაც გაირკვა, რომ იმ გამოსაცდელებს, რომლებსაც ყოველდღიურად სვამდნენ ერთ ან მეტ ფინჯან ყავას, ჰქონდათ უფრო ნაკლები კბილები ძვლის მასის დანაკარგებით. ძვლის მასის დანაკარგი კი არის ძირითადი სიმპტომი პაროდონტის დაავადებისა, რომელმაც შეიძლება, კბილების სიჯანსაღის დასუსტებასთან და მათ დაკარგვასთან მიგვიყვანოს. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ყავის დამცველი ეფექტი მასში ანტიოქსიდანტების შემცველობით აიხსნება. თუმცა ამ სასმელის ბოროტად გამოყენება მაინც არ ღირს. საქმე ისაა, რომ ყავისგან ყვითლდება კბილის ემალი და ის შეიძლება გახდეს პირში უსიამოვნო სუნის მიზეზი.

ჩააქრეთ შუქი

შუქზე ძილი სახიფათოა ჯანმრთელობისთვის, გვაფრთხილებენ მეცნიერები იაპონიიდან. მოწყობილი ექსპერიმენტების სერიამ აჩვენა, რომ ძილის დროს ადამიანის ორგანიზმზე შუქის ზემოქმედებით მკვეთრად იზრდება უძილობის, ჰიპერტონიისა და დეპრესიის რისკი. ამას გარდა, განათების გამო უარესდება თავად ძილის ხარისხი, რაც ნეგატიურად აისახება გაცვლით პროცესებზე. მკვლევარები ასევე მიიჩნევენ, რომ არსებობს კავშირი შუქზე ძილის ჩვევასა და სუიციდური განწყობილებისადმი მიდრეკილებას შორის.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ განათებამ ღამის ძილის დროს შეიძლება გამოიწვიოს ცირკადული რიტმების დარღვევა, რომლებიც პასუხიმგებელი არიან ძილისა და სიფხიზლის მდგომარეობის ცვლაზე, აგრეთვე გავლენას ახდენენ ორგანიზმში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სხვა პროცესებზე.

ვეგეტარიანი ქალები უფრო მალე ბერდებიან?

სრულ უარს ხორცზე სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებასთან და ადრეულ სიბერესთან მივყავართ – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები დიდი ბრიტანეთიდან.

განსაკუთრებით ეს შეეხება ქალებს, რომელთა რეპროდუქციული ფუნქციაც შეიძლება დაითრგუნოს ხორცზე არსებული ცილებისა და სხვა მიკროელემენტების დეფიციტის გამო.

ცნობას კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დიეტოლოგი რუსუდან მაისაშვილი:

– ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება და ადრეული დაბერება შესაძლებელია, თუ ქალი იცავს მკაცრ ვეგეტარიანულ დიეტას ბავშვობიდან. ცხოველური ცილებისა და შეუცვლელი ამინომჟავების დეფიციტის გამო ორგანიზმში ირღვევა ჰორმონალური ფონი. ეს შეიძლება მენსტრუაციების შეწყვეტის, ოვულაციის არარსებობის მიზეზი გახდეს, რასაც, თავის მხრივ, ორგანიზმის დაბერებასთან მივყავართ, რომ აღარაფერი ვთქვათ კანის ტურგორზე და ნაოჭების გაჩენაზე ადრეულ ასაკში. ცნობილია შემთხვევები, როდესაც დაბადებიდან ვეგეტარიანელ გოგონებს სიბერის ნიშნები უჩნდებათ მოზარდის ასაკში. ხოლო თუ საქმე შეეხება მოზრდილ ქალს, ხორცზე უარის თქმას შედეგი არა აქვს. 40 წლის შემდეგ რეკომენდაბულიც კია ეგრეთ წოდებულ ვეგეტარიანობაზე გადასვლა, როდესაც ხორცს თევზით (100 გრამამდე დღეში) ან რძის პროდუქტებით ცვლიან. კვების ასეთი სისტემა არა თუ ზიანს არ აყენებს ჯანმრთელობას, არამედ, პირიქით, საშუალებას გვაძლევს გავიზარდოთ სიცოცხლის ხანგრძლივობა და შევინარჩუნოთ კარგი თვითშეგრძნება ხანდაზმულ ასაკში.

ფრთხილად, ლამაზო!

ქალები, რომლებსაც სურთ, გააჩინონ ბავშვები, უნდა ერიდებოდნენ ლამაზ მამაკაცებს – ასეთი რჩევა გააკეთეს მეცნიერებმა. მათი სიტყვებით, მიმზიდველ მამაკაცებს დაქვეითებული აქვთ სპერმის ხარისხი. შესაძლოა განმარტებათა შორის მოჰყავთ ასეთი რამ: რეპროდუქტიული ფუნქციების დაქვეითების გამო ბუნება აძლევს ადამიანს მიმზიდველ გარეგნობას, რომ როგორმე მიიზიდოს საპირისპირო სქესი.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– **სალამო** მშვიდობისა, სარა აბრამოვნა! რას შვრება თქვენი თავის ტკივილი?

– ოი, ნუ მკითხავთ, მოშესთან წავიდა კარტის სათამაშოდ...

* * *

მეცნიერებმა მიაგნეს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის ორჯერ გაზრდის ძალიან უბრალო და საიმედო ხერხს – წამოაყენეს წელიწადის ხანგრძლივობის ორჯერ შემცირების წინადადება.

* * *

– **ჩვენს** ქალაქს კრიზისი არ შეხებია.

– როგორ მოახერხეთ ეს?

– ჩვენ არც კრიზისამდე ვმუშაობდით.

* * *

ღამის სამი საათია. და უცებ მეზობელი კარზე ფეხით აბრახუნებს! ისე შემეშინდა, რომ ხელიდან ბურღიც კი გამივარდა.

* * *

ებრაელი რესტორანში შევიდა და ოფიციანტს ერთი ბოთლი არაყი შეუკვეთა. მერე კვლავ მოუხმო მას და სთხოვა, რომ არაყი კონიაკით შეეცვალა, კონიაკის ბოთლი ბოლომდე დაცალა და გასასვლელისკენ გაეშურა.

– ახალგაზრდავ, კონიაკის ფული არ გადაგიხდიათ! – მიაძახებს ოფიციანტი.

– მაგრამ მე ხომ კონიაკის სანაცვლოდ არაყი მოგეცით.

– მაგრამ თქვენ არც იმ არყის ფული გადაგიხდიათ.

– რატომ უნდა გადამეხადა, მე რომ არაყი არ დამილევია!

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24